პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 274 (9742) | პარასკევი, 20 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ტიმონინოელ კოლმეურნეთა დელეგაცია საქართველოში (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით (1-ლი გვერდი).

მედვედოვსკის მტს-ის გამოცდილება — საქართველოს ყველა მექანიზატორს. — ა. თომაძე. — ყუბანელ მექანიზატორებთან. ი. აბაზოვი. — კვადრატულ-ბუდობრივი თესვის მათი გამოცდილებიდან. ა. რუხაძე. — რა ვნახეთ მედვედოვსკელ მეგობრებთან. გ. ჩაჩანიძე. — მტს-ის სადისპეტჩერო სამსახური (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ თბილისის მშრომელთა საყოველთაო-ცხოვრებო მომსახურება (მე-3 გვერდი).

გ. ყურაშვილი. — ესპანეთის მშრომელთა უმწეო მდგომარეობა (მე-3 გვერდი).

საქართველოს მეფეხსაცმელეთა დელეგაცია მოსკოვში (მე-3 გვერდი).

საყურადღებო სიგნალები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის დელეგაციები თბილისში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სოფლის კომკავშირელთა გადაუდებელი ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში აქტიური როლი უნდა შეასრულონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. პლენუმმა მიუთითა, რომ კომკავშირი დიდ ძალას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, და პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა ბოლო მოუღონ კომკავშირული ორგანიზაციების შეუფასებლობას.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები, ყველა ახალგაზრდა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღმავლობით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ მას. ახალგაზრდა კოლმეურნეები და მექანიზატორები გამოდიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადამდე შესრულებისათვის, მოწინავე ტექნიკის წარმოებაში დანერგვისა და მთელი სიმძლავრით ათვისებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. პარტიის მოწოდების საპასუხოდ 450-ზე მეტი კომკავშირელი, მათ შორის 82 ქალიშვილი, უკვე წავიდა სამუშაოდ მეცხოველეობის ფერმებში. სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები იწყებენ მუშაობას მტს-ებში. სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები კისრულობენ მტს-ებისა და კოლმეურნეობების შეფობას, აჩაღებენ შეჯიბრებას საკოლმეურნეო სოფლის დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, რომლებიც სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვას მიეძღვნა, კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახეს — უზრუნველყონ კომკავშირელების, მთელი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიადი პროგრამის შესრულებაში. სამწუხაროდ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, კომკავშირის მთელი რიგი საოლქო და რაიონული კომიტეტები სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ ამ მუშაობას, სუსტად რაზმავენ კომკავშირელებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად.

კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაციები არ მონაწილეობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის, აგრეთვე მარცვლეული, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ამაღლებაში. დუშეთის, ადიგენის, თიანეთის, ახალქალაქის, ყაზბეგის, ცაგერის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომკავშირული ორგანიზაციები ურიგდებიან იმას, რომ კოლმეურნეობებში ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ხშირია პირუტყვის სიკვდილიანობა, არ სრულდება საკვების დაგროვების გეგმები, დაბალია პროდუქტიულობა. შეუწყნარებელია ისეთი ვითარება, როცა აფხაზეთის ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდობას არ იზიდავს მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, როცა არც ერთი კომკავშირელი მწველავი მოწინავე არ არის.

კომკავშირელთა უპირველესი მოვალეობაა ბეჯითი და მაღალნაყოფიერი შრომით ღირსეული წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საქმეში. ახალგაზრდობის აღზრდა შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია და კომკავშირის რაიონული კომიტეტი, რომელთაც ნაკლებად აინტერესებთ ის, თუ რამდენი შრომადღე გამომუშავა კომკავშირელმა, ახალგაზრდა კოლმეურნემ. ამის გამო კომკავშირელთა ნაწილი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო წარმოებაში, თავს არიდებს შრომას. დიდ შეცდომას სჩადიან სიღნაღის, თელავის, ლანჩხუთის და სხვა რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ურიგდებიან ახალგაზრდობის მიერ საკოლმეურნეო შრომისადმი თავის არიდების ფაქტებს. განა სამარცხვინო არ არის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ ერთეული ტრაქტორისტი ქალია? ეს მოწმობს, რომ სასოფლო კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იზიდავენ ქალიშვილებს შრომაში, არ ეხმარებიან მათ იმაში, რომ ტრაქტორისტი ან კომბაინერი გახდნენ.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია დიდი შემოქმედებითი შრომა სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, კომკავშირელთა, ახალგაზრდობის ადგილი სოფლის მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზეა. მაგრამ ცხაკაიას რაიონში ყველა კომკავშირელს როდი ესმის ეს. მაგალითად, თეკლათის კოლმეურნეობაში კომკავშირელებს ზინა და მარო არჩაიებს, ა. გვარამიას და ნ. ჯმუხაძეს წელს არც ერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული. ასეთივე მდგომარეობაა მენჯის კოლმეურნეობაში, სადაც კომკავშირელთა დიდი უმრავლესობა შრომაში მონაწილეობას არ იღებს.

პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძლიერების წყაროა. აშკარაა — მუშაობაში ნაკლოვანებანი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯეროვან დახმარებასა და ხელმძღვანელობას რომ უწევდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიონული კომიტეტები. ძალიან ცოტას ზრუნავენ კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გასაძლიერებლად და კომკავშირის რაიკომების მუშაობის დონის ასაამაღლებლად, მაგალითად, პარტიის დუშეთისა და ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტები. ასეთი უყურადღებობის ვითარებაში გასაკვირველი არ არის, რომ ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ბერლიკის კომკავშირელები უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ერთხელაც არ შეკრებილან. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ საქმე იმით დაამთავრა, რომ კომკავშირისადმი დახმარება კომუნისტ მუსაევს მიანდო.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დაეხმარონ კომკავშირს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებაში, ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლებაში. მათ ყოველდღიურად უნდა წარმართონ კომკავშირის საქმიანობა, ყოველნაირად განავითარონ ახალგაზრდობის აქტივობა და ინიციატივა.

სოფლად კომკავშირული მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და მისი წარმოებაში დანერგვა. კომკავშირულმა მუშაკებმა ბეჯითად უნდა შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საფუძვლები, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კომკავშირის საოლქო კომიტეტებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სასოფლო რაიკომებისა და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

ამჟამად რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. საანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბრძოლა სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, კომკავშირული ორგანიზაციებისა და კომკავშირის რაიკომების მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

სოფლად კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დიდი, პასუხსაგები ამოცანები დგას. საქართველოს კომკავშირი, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა არ დაიშურებს ძალღონეს, ენერგიასა და შრომას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

ტიმონინოელ კოლმეურნეთა დელეგაცია საქართველოში

გუშინ, 19 ნოემბერს, თბილისის გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში სტუმრად ჩამოვიდა მოსკოვის ოლქის რამენსკის რაიონის სოფელ ტიმონინოს ვ. მ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია.

ტიმონინოელ კოლმეურნეთა დელეგაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. პუზანჩიკოვი, შედიან კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი აგრონომი პ. უსაჩოვი, ზოოტექნიკოსი ვ. კირეევა, მემანდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი ვ. ბლოხინი, კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მერგოლური ე. კატანსკაია, მერგოლური ა. ნიკიტინა, მწველავი ი. ლამზიჩკინა, მეღორე ვ. გონინა, მეფუტკრე ვ. მალიშევი, კოლმეურნე ზ. კატანსკაია.

კოლმეურნეთა დელეგაციას თბილისის სადგურზე დახვდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი ამხ. მ. გიორგაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. სტურუა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. მაღრაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის გარეუბნის რაიკომის მდივანი ამხ. დ. გელაშვილი, საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ა. ნატროშვილი, თბილისის გარეუბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. კორახაშვილი, ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ა. მიგრიაულის მეთაურობით, თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ძვირფას სტუმრებს ორთაჭალელმა კოლმეურნეებმა მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგული.

• • •

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ტიმონინოელ კოლმეურნეთა დელეგაციას შეხვდა ხაშურში.

— აი ჩვენ უკვე საქართველოში ვართ, — სახეგაბრწყინებული ამბობს დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. პუზანჩიკოვი. — სულ რამდენიმე საათი და მეგობრულად გადავეხვევით ჩვენს საყვარელ ამხანაგებს, ორთაჭალელ კოლმეურნეებს, რომლებთანაც გვაკავშირებს მტკიცე მეგობრობა, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. ორთაჭალის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და მთელი რიგი მოწინავე კოლმეურნეები ჩვენ გავიცანით ტიმონინოში, ამ ცოტა ხნის წინათ, როდესაც ისინი ჩვენთან იყვნენ სტუმრად. ახლა ჩვენ საშუალება გვეძლევა შევხვდეთ არტელის მთელ კოლექტივს, გავეცნოთ კოლმეურნეობის მრავალდარგოვან მეურნეობას, ორთაჭალელ კოლმეურნეთა მიღწევებს. ჩვენი დელეგაციის საქართველოში ყოფნა კიდევ უფრო განამტკიცებს რუსი და ქართველი კოლმეურნეების ძმურ მეგობრობას.

— სიხარულით მოველით ორთაჭალელებთან შეხვედრას, — ამბობს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. უსაჩოვი. — დარწმუნებული ვართ, რომ ბევრს ახალსა და სასარგებლოს ვნახავთ თბილისის გარეუბნის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობაში ჩვენ ორთაჭალელებისათვის საჩუქრად მოგვაქვს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, მათ შორის ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. პუზანჩიკოვის წიგნი მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ჩვენი გამოცდილების შესახებ.

... ღამდება. მატარებელი უახლოვდება გორს. დელეგაციის წევრები ვაგონის ფანჯრებთან იყრიან თავს. შორიდან მოჩანს ელექტროშუქით განათებული ხუთქმიანი ვარსკვლავი, რომელიც აღმართულია გორის ძველი ციხესიმაგრის თავზე. — აი ისტორიული დიდების ქალაქი, — ამბობს ზოოტექნიკოსი კირეევა. — თვითეული ჩვენგანის დიდი ხნის ოცნება იყო გვენახა გორი, დაგვეთვალიერებინა სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა უკვდავმა სტალინმა. ჩვენ ვნახავთ დიდი სტალინის სახლ-მუზეუმს.

მეგობრული საუბარი გრძელდება. კოლმეურნეობის მერგოლური ნიკიტინა, მწველავი ლამზიჩკინა, მეღორე გონინა გვიამბობენ თავიანთ კოლმეურნეობის წარმატებებზე, განსაკუთრებით იმ დიდ მიღწევებზე, რაც მათ მოიპოვეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში. — ეჭვი არ არის, — ამბობს მწველავი ლამზიჩკინა, — ჩვენი სოციალისტური შეჯიბრება დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე კოლმეურნეობას. ის დრო შორს არ არის, როცა ტიმონინოს მიწა-წყალზე აყვავდება ისეთივე ბაღ-ვენახები, როგორიც ორთაჭალელებს აქვთ, ხოლო ორთაჭალელები მოაწყობენ მეცხოველეობის ისეთსავე სანიმუშო ფერმებს, როგორიც ჩვენ გვაქვს.

საუბრის დასასრულს დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. პუზანჩიკოვმა განაცხადა:

— გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ჩვენი ძმური, გულწრფელი სალამი გადასცეთ ქართველ კოლმეურნეებს, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიულად იბრძვიან შშმლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. ვუსურვებთ მათ, ჩვენს ძვირფას მეგობრებს, ახალ-ახალ წარმატებებს საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

სურათზე: მოსკოვის ოლქის რამენსკის რაიონის სოფ. ტიმონინოს ვ. მ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაციის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): ე. კატანსკაია, ვ. ბლოხინი, ა. ნიკიტინა, ი. ლამზიჩკინა, ნ. პუზანჩიკოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ვ. მალიშევი, ვ. გონინა, ზ. კატანსკაია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნიკოლოზისძე გეხტმანი, ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ლევან პეტრეს-ძე გოკიელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე კეცხოველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე გიორგის-ძე ნამორაძე, გეოლოგიო-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ანტონის-ძე თვალჭრელიძე, ნინო სოლომონის ასული ციციშვილი, საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი რუსუდან ნიკოლოზის ასული ნიკოლაძე, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები ლეონარდ ლეონარდის-ძე დეკაპრელევიჩი, ივანე ლეონტის-ძე ჯაში, ლეონიდე პოლიევქტის-ძე კალანდაძე, ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხომიზურაშვილი, ამავე ინსტიტუტის დოცენტები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ქსენია ეფრემის ასული ცხაკაია, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მარიამ იოსების ასული ჭელიძე, ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დოცენტები ნინო ჰენრიხის ასული ბერგი და ვლადიმერ სიმონის-ძე პოლეტაევი, თბილისის სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორები ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილი, სერგი ვასილის-ძე ბარხუდარიანი, ანსატასია დავითის ასული ვირსალაძე, ანა ივანეს ასული თუალაშვილი, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი არჩილ კირილეს-ძე ხარაძე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 63 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 108 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 136 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 79 კაცი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში

„მუსიკალური მემკვიდრეობა“

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა დაამთავრა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი გამოკვლევები. ახალი გამოკვლევები შევიდა ორ ტომში, რომლებითაც იწყება სერია „მუსიკალური მემკვიდრეობა“. პირველი ტომი უკვე გამოუშვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ. მეორე მზად არის დასაბეჭდად და უახლოეს ხანში გამოვა.

„მუსიკალურ მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნებული მთელი რიგი მასალები მიძღვნილია ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ნაკლებად ცნობილი საკითხებისადმი. ასეთია სტატიები დ. ბ. კაბალევსკისა „რიმსკი-კორსაკოვი და მოდერნიზმი“. ა. ი. კანდინსკისა „მუსიკალური დახასიათებანი რიმსკი-კორსაკოვის 90-იანი წლების შემოქმედებაში“, ა. ა. გოზენპუდისა „დაკვირვებანი რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედებითს პროცესზე“, მ. ო. იანკოვსკისა „სტასოვი და რიმსკი-კორსაკოვი“ და სხვ.

გარდა ამისა, პირველად ქვეყნდება კომპოზიტორის დღიური ჩანაწერები, მიწერ-მოწერა, აგრეთვე მის თანამედროვეთა მოგონებანი. „მუსიკალურ მემკვიდრეობაში“ წარმოდგენილია აგრეთვე რიმსკი-კორსაკოვის ოპერების დადგმათა ისტორიის ილუსტრაციები.

„სსრ კავშირის ისტორიის ნარკვევები“

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა და გამოაქვეყნა „სსრ კავშირის ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომი (IX-XIII საუკუნეები). ამ ტომით იწყება მრავალტომიანი გამოცემა, მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისადმი უძველესი დროიდან დღემდე.

„ნარკვევების“ პირველ ტომში გაშუქებულია ძველი რუსეთის სახელმწიფოს შექმნის ისტორია, ნაჩვენებია იმ ეპოქის რუსული კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები.

მეორე ტომი (XIV-XV საუკუნეები) გამზადებულია დასაბეჭდად. (საკდესი).

არტილერიის დღის შესახებ

22 ნოემბერს არტილერიის დღეა. საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ემზადებიან ამისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ამ დღესასწაულს. ქალაქებსა და სოფლებში, ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, ფლოტებსა და ფლოტილებში ეწყობა მოხსენებები, საუბრები, ლექციები საბჭოთა არტილერისტების საბრძოლო გზის შესახებ. კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში ეწყობა ფოტოვიტრინები, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი ქვეყნის არტილერიის გმირული ისტორიისადმი.

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის საამქროებში მოხსენებები და ლექციები არტილერიის დღის შესახებ წაიკითხეს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიის მსმენელებმა და მასწავლებლებმა.

საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სახლის ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნის დიდი გამოფენა, მიძღვნილი არტილერიის დღისადმი. ასეთივე გამოფენები გაიხსნება მოსკოვის გარნიზონის სხვა ბიბლიოთეკებსა და ოფიცერთა სახლებშიც. (საკდესი).

მექანიზაჟორები ავჯომანქანებს ყიდულობენ

თელავი. (საკ. კორ.). თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორთა შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება. ისინი იშენებენ სახლებს, ყიდულობენ ძვირფას ავეჯს, იძენენ მსუბუქ ავტომანქანებს.

მტს-ის ბრიგადირებმა ბაგრატ ნახუცრიშვილმა და გიორგი ძამუკაშვილმა „პობედის“ მარკის ავტომანქანები შეიძინეს, სახელოსნოს გამგემ მიხეილ ვარდოსანიძემ — „მოსკვიჩ“ და სხვ.

ავტომანქანების შეძენა განზრახული აქვს კიდევ ათამდე მექანიზატორს.

კინოფილმები სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის

თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ დაამთავრა სოფლის მეურნეობის თემებზე მთელი რიგი სურათების დუბლირება ქართულ ენაზე. მათ შორის არის „საკვების დასილოსება“, „მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია“, „საადრეო ბოსტნეული“.

სასოფლო-სამეურნეო ფილმების დუბლირებასთან ერთად კინოსტუდიის კოლექტივი ქმნის ახალ სურათებს საკოლმეურნეო წარმოების მშრომელებისათვის. დამთავრდა სპეციალური კინოფილმების „მევენახეობის“, „ჩაის კულტურის“, „მებაღეობის“ გადაღება. წარმოებს გადაღება ფერადი სურათისა „ნაყოფის კრეფა და გადამუშავება“.

ბორჯომის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის რაიონში ფართოდ ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა, სოფლის მეურნეობა, მებოსტნეობა და სხვ.

რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებანი. განსაკუთრებით კარგი იყო სოფლების ყვიბისის, რველის, დვირის, ჯობისხევის, საკირის და ბაკურიანის კოლმეურნეობებიდან წარმოდგენილი ბოსტნეული კულტურების ექსპონატები.

სოფელ ყვიბისის კოლმეურნეობიდან წარმოდგენილი ხახვის — „ბორჯომის რეკორდის“ თვითეული ბოლქვი ერთ კილოგრამსა და 200 გრამს იწონიდა, ხოლო სოფელ ტბის კოლმეურნეობიდან წარმოდგენილი საქონლის საკვები გოგრა — 25 კილოგრამს.

სოფელ ჯობისხევის კოლმეურნეობამ სხვა ექსპონატებთან ერთად წარმოადგინა სიმინდი „კაეოვანას“ ნიმუში. ამ ჯიშის სიმინდი წელს კოლმეურნეობამ მიიღო 25 ცენტნერი ჰექტარზე, ნაცვლად 18 ცენტნერისა. სოფელ საკირის კოლმეურნეობის წევრმა მ. ბახტაძემ გამოფენაზე წარმოადგინა „მაესტიკის“ ჯიშის კარტოფილის ნიმუში. მან წელს ჰექტარზე 230 ცენტნერი ამ ჯიშის კარტოფილი მიიღო ნაცვლად 130 ცენტნერისა. ამ კარტოფილის თვითეული ბოლქვი 300-400 გრამს იწონის და დიდი შაქრიანობით ხასიათდება.

მეცხოველეობის განყოფილებაში განსაკუთრებით საინტერესო იყო სოფელ ციხისჯვრის კოლმეურნეობიდან მოყვანილი „შვიცის“ ჯიშის ძროხები, რომლებიც დღეში საშუალოდ 15-17 ლიტრ რძეს იძლევიან. სოფელ ბალანთის კოლმეურნეობამ წარმოადგინა 10 ყოჩი. თვითეული მათგანისაგან წელს მიიღეს ექვსი კილოგრამი მატყლი ნაცვლად 2.5 კილოგრამისა.

ბაკურიანის ნადირმომშენებელმა საბჭოთა მეურნეობამ გამოფენაზე წარმოადგინა ადგილბრივ გამოყვანილი თეთრი მელა, რომელსაც წელს 7 ლეკვი ეყოლა.

რუსთავის მეტალურგები მოსკოვის ბიბლიოთეკებით სარგებლობენ

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკის აბონენტები არიან ახალგაზრდა მეფოლადეები, მგლანავები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ქარხნის ოსტატთა სკოლის მსმენელები და სხვ. ბიბლიოთეკას თავის ფონდში 17.000-ზე მეტი წიგნი და 48 სახელწოდების ჟურნალი აქვს, ხოლო ქარხნის ძირითად საამქროებში 6 მოძრავი ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის საშუალებით მის აბონენტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ მოსკოვის ბიბლიოთეკების წიგნებით. მაგალითად, ამას წინათ მეტალურგიული ქარხნის მეტალოგრაფიკული ლაბორატორიის უფროსმა ნ. სერგბრივსკიმ ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკის დახმარებით დედაქალაქის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკადან რუსთავში მიიღო ჟურნალები და ტექნიკური ხასიათის რამდენიმე საინტერესო საინფორმაციო წერილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. კუზმინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ა. ნ. კუზმინის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და მეტალურგიული მრეწველობის განვითარების დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ანატოლი ნიკოლოზის-ძე კუზმინი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 18 ნოემბერი.

მედვედოვსკის მტს-ის გამოცდილება—საქართველოს ყველა მექანიზატორს

კვადრატულ-გუდოგრივი თესვის მათი გამოცდილებიდან

მედვედოვსკის მტს-ს, რომლის მუშაობასაც ჩვენ დიდი ყურადღებით ვეცნობოდით, კვადრატულ-ბუდობრივი თესვის თვალსაჩინო გამოცდილება აქვს. კვადრატულ-ბუდობრივი თესვის წარმოება მტს-მა 1951 წლიდან დაიწყო, როცა ამ წესით ათას ჰექტარზე მეტი დათესა. უკვე მომდევნო წელს კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი იქნა 3.000 ჰექტარი სიმინდი და მზესუმზირა. ამასთან, აღნიშნული ღონისძიების განხორციელებით, მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებმა მარტო თოხნაზე დაზოგეს 46 ათასი კაც-დღე. კოლმეურნეობებმა კვადრატულ-ბუდობრივად უფრო დიდი ფართობი დათესეს მიმდინარე წელს. ინტერესსმოკლებული არ არის აღინიშნოს ამ წესით ნათესი ფართობის დამუშავების ხელსაყრელობა. მაგალითად, თუ წინათ ერთი ჰექტარი სიმინდისა და მზესუმზირას თოხნაზე კოლმეურნეობა ხარჯავდა 12-14 კაც-დღეს, კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილ ერთ ჰექტარზე ახლა კოლმეურნეობა ხარჯავს 2 კაც-დღეს.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებს კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვამ საშუალება მისცა მარტო 1953 წელს დაეზოგათ 172 ცენტნერი სათესლე სიმინდი და 267 ცენტნერი მზესუმზირა, რადგანაც ჩვეულებრივი სათესით ერთ ჰექტარზე თესენ 30 კილოგრამ სიმინდს, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივი სათესით — 17 კილოგრამს, მზესუმზირას — 22 კილოგრამის ნაცვლად 7 კილოგრამს.

კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის მზადებას მტს-ი შემოდგომიდანვე იწყებს. ამ საქმისათვის არჩევს საუკეთესო მექანიზატორებს, აწყობს მათს სემინარს, აწარმოებს ფართობის მარკირებას და ა. შ.

მედვედოვსკის მტს-იდან იმ შთაბეჭდილებით დავბრუნდი, რომ კვადრატულ-ბუდობრივი თესვა თამამად შეიძლება დაინერგოს საქართველოს ყველა მტს-ში, კერძოდ საგარეჯოს მტს-შიც, სადაც მე მიხდება მუშაობა.

საგარეჯოს მტს-მა თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში 1954 წლის გაზაფხულზე უნდა დათესოს 790 ჰექტარი სიმინდი და 600 ჰექტარი მზესუმზირა. ჩვენ გადავწყვიტეთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით დავთესოთ სულ ცოტა 300 ჰექტარი სიმინდი და 400 ჰექტარი მზესუმზირა.

ი. აბაზოვი,
საგარეჯოს მტს-ის მთავარი ინჟინერი.

მზრუნველობით ვზაარდოთ კადრები

მედვედოვსკის მტს-ში განუწყვეტლივ ზრუნავენ მექანიზატორთა ტექნიკური დაოსტატებისათვის. აქ იშვიათია ისეთი კომბაინერი და ტრაქტორისტი, რომელიც 2-3 სპეციალობას არ ფლობდეს. ეს კი იარაღ-მანქანების მაღალი წარმადობის მიღწევის და ყველა სამუშაოს აგროტექნიკურ ვადებში ჩატარების საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ მტს-ის დირექცია ყოველთვის მხარს უჭერს რიგითი მექანიზატორების საქმიან თაოსნობას, გულისხმიერად ეკიდება მათს რაციონალიზატორულ წინადადებებს. ამის შედეგად მტს-ის კოლექტივმა წარმატებით აითვისა და გაუმჯობესა უახლესი ტიპის ბევრი იარაღი და მანქანა, მათ შორის „სშ-6“ მარკის სათესი.

მედვედოვსკში მზესუმზირას ასაღებად მშვენივრად იყენებენ ხორბლის კომბაინს, კარგად აითვისეს სიმინდის ასაღები კომბაინიც. მინდვრიდან მზესუმზირას ღეროების აღება-გატანის მექანიზაციამ, რაც მექანიზატორებმა საკუთარი ძალებით განახორციელეს, დიდი შეღავათი მისცა კოლმეურნეობებს.

დავბრუნდები თუ არა მტს-ში, მოვაწყობთ კომბაინერთა და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა კურსებს კვადრატულ-ბუდობრივი თესვის შესასწავლად და ამ წესით მიმდინარე წლის გაზაფხულზევე დავთესავთ 1.100 ჰექტარს.

შ. ციციშვილი,
წნორის მტს-ის მთავარი ინჟინერი.

რა ვნახეთ მედვედოვსკელ მეგობრებთან

★ ★

კრასნოდარის მხარის მედვედოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მტს-ი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება. მედვედოვსკელი მექანიზატორები საქმით ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას, ნერგავენ შრომის ნოვატორულ მეთოდებს და წლითიწლობით ზრდიან მოსავლიანობას.

ამას წინათ ქართველ მექანიზატორთა ჯგუფი ესტუმრა მედვედოვსკის მტს-ის სახელოვან კოლექტივს. ქვემოთ მოყვანილი მასალები მოკლედ მოგვითხრობენ აღნიშნული მტს-ის ისტორიაზე ცხოვრებაზე.

მედვედოვსკის მტს-ი ემსახურება სამ კოლმეურნეობას, რომლებშიც 3.224 კომლია გაერთიანებული. ამ კოლმეურნეობებში მთლიანად მექანიზებულია ხვნის, თესვის, მოსავლის აღების, ნამჯის გაზიდვისა და სხვა სამუშაოები.

ყოველწლიურად იზრდება მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა. თუ 1945 წელს მტს-მა რბილ ხვნაზე გადაყვანით 41.600 ჰექტარი დაამუშავა, 1950 წელს უკვე დაამუშავა 86.000, ხოლო 1952 წელს — 120.000 ჰექტარი.

მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა მტს-ს უკვე 101 პროცენტით აქვს შესრულებული და წარმატებით განაგრძობს მუშაობას. თვითეული 15-ძალიანი პირობითი ტრაქტორის გამომუშავებამ რბილ ხვნაზე გადაყვანით აქ უკვე გადააჭარბა 710 ჰექტარს.

ყველა წარმატების მოპოვების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად აქ კადრები მიაჩნიათ. ამიტომ მტს-ის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ზრდიან მათ. სწორედ ამიტომ არის, რომ მტს-ს საუცხოო, მაღალკვალიფიციური კადრები ჰყავს. ისინი თავდადებით მუშაობენ და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს. მეექვსე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი. ამხ. ფ. ი. ბრუსი ხელმძღვანელობს, მიმდინარე წელს უკვე 106 პროცენტით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა — რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 10.063 ჰექტარი და დაზოგა 2.652 კილოგრამი საწვავი. ბრიგადამ თვითეული 15-ძალიანი პირობითი ტრაქტორით 811 ჰექტარი გამოიმუშავა.

მერვე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც პ. ნენახოვი ხელმძღვანელობს, თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე 858 ჰექტარი გამოიმუშავა.

მეთორმეტე სატრაქტორო ბრიგადამ მიმდინარე წელს 933 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 24,4 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მიიღო, ხოლო 156 ჰექტარი მზესუმზირის თვითეულ ჰექტარზე — 21,6 ცენტნერი. მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა ამ მხრივ პირველ სატრაქტორო ბრიგადასაც.

მტს-ში გაბედულად ნერგავენ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს, მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს.

მედვედოვსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მომსახურების კოლმეურნეობებში უკვე მთლიანად ათვისებულია ბალახმინდვროვანი თესლბრუნვა, ფართოდ ინერგება ნიადაგის ღრმად ხვნა. აქ ძირითადად ხვნას აწარმოებენ მარცვლეული კულტურებისათვის 25-27 სანტიმეტრის, ხოლო ტექნიკური კულტურებისათვის 27-30 სანტიმეტრის სიღრმეზე. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას. ისეთ გვალვიან წელიწადშიც კი, როგორიც 1951 წელი იყო, კოლმეურნეობებმა თვითეულ ჰექტარზე 17-19 ცენტნერი მზესუმზირა მიიღეს.

მედვედოვსკელი მექანიზატორები ყუბანში კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ნოვატორები არიან.

კვადრატულ-ბუდობრივი სათესლების მიღებისთანავე აქ შეარჩიეს საუკეთესო კომბაინერები, თითქმის ერთი თვის განმავლობაში გულდასმით ამეცადინებდნენ მათ და კარგად შეასწავლეს სათესი მექანიზმების მუშაობა, შემდეგ კი ორი კვირის განმავლობაში პრაქტიკულად ავარჯიშებდნენ თესვაზე. აი სწორედ ამან უზრუნველყო კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ფართოდ დანერგვა მტს-ში.

მტს-ში დანერგილია ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია. როგორც პურეულის, ისე სიმინდისა და მზესუმზირას მოვლა-მოყვანა და აღება მთლიანად მექანიზებულია.

მტს-ის კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევს მეცხოველეობის განვითარებას. მიმდინარე წელს მექანიზებული წესით აიღეს 8.890 ჰექტარი თივა, შეაგროვეს 40 ათასი ტონა ნამჯა და ჩადეს 13 ათასი ტონა სილოსი, ამასთან როგორც სასილოსე მასის აღება და დაკუწვა, ისე სასილოსე ტრანშეების ამოთხრა მთლიანად მექანიზებული იყო.

მტს-ს ჰყავს მემონტაჟეთა ორი ბრიგადა, რომელთა საშუალებითაც მეცხოველეობის 15 ფერმაში მოწყობილია წყლის მომარაგება, 5 ფერმაში ავტორწყულება, ერთ ფერმაში საკვების მომზადების მექანიზაცია და სხვ.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მთლიანად მექანიზებულია ცხვრის პარსვა.

ასეთია მოკლედ მედვედოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის კოლექტივის წარმატებანი, რასაც ჩვენ გავეცანით.

ვალდებულებას ვიღებთ ფართოდ დავნერგოთ რესპუბლიკის მტს-ებში ყოველივე ის ახალი და კარგი, რაც მედვედოვსკში ვნახეთ.

ა. რუხაძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მტს-ების მთავარი სამმართველოს ექსპლოატაციის სამმართველოს უფროსი.





მედვედოვსკის მტს-ის სახელოსნოში დადგმულია უახლესი ტიპის იარაღ-ხელსაწყოები. სურათებზე: 1. სახელოსნოს გამგე ხ. ხომენკო ქართველ მექანიზატორებს ესაუბრება ერთ-ერთი ხელსაწყოს შესახებ. 2. დისპეტჩერი ი. ბრუსი თავის გამოცდილებას უზიარებს ქართველ მექანიზატორებს.
ფოტო გ. ბელოუსოვისა.

მტს-ის სადისპეტჩეროსამსახური

მედვედოვსკის მტს-ში საუკეთესოდ არის დაყენებული სადისპეტჩერო სამსახური. გამოცდილების შესწავლამ ნათლად დაგვანახვა, რომ დისპეტჩერი, რომელსაც მუდმივი კავშირი აქვს სატრაქტორო ბრიგადებთან, დიდ როლს ასრულებს იარაღ-მანქანების წარმადობის ამაღლებასა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულყოფილად განხორციელებაში.

მედვედოვსკში სადისპეტჩეროსათვის გამოყოფილია სპეციალური ოთახი, რომელშიც დადგმულია „ურალის“ ტიპის **რადიოტელეფონი.** ასეთივე რადიოტელეფონები დადგმულია თვითეულ სატრაქტორო ბრიგადის საველე ბანაკში. მტს-ის დირექციას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა დისპეტჩერის საშუალებით დაუკავშირდეს ბრიგადებს, გადასცეს მათ ესა თუ ის განკარგულება, გაიგოს მანქანების ტექნიკური მდგომარეობა, ყოველდღიურად მიიღოს ზუსტი ცნობები შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, სწრაფად შეიტყოს მანქანის დაზიანების შემთხვევა და ოპერატიულად ჩაატაროს რემონტი.

დისპეტჩერს ამხ. ი. პ. ბრუსს აქვს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობათა ფართობების რუკა, რომელზეც სხვადასხვა ფერებით, მსხვილი მასშტაბით აღნიშნულია თესლბრუნვის ნაკვეთები. რუკა მაგიდაზეა გაშლილი და ზედ აწყვია პირობითი ნიშნები, რომლებითაც ყოველდღიურად აღინიშნება თვითეული ტრაქტორის სამუშაო ადგილი.

დისპეტჩერი აღრიცხავს ტრაქტორებისა და კომბაინების გაცდენას და მის გამომწვევ მიზეზებს, კონტროლს უწევს ტრაქტორების ტექნიკური მოვლის გრაფიკის შესრულებას. დისპეტჩერს აქვს საწვავ-საცხები მასალის ხარჯვის გრაფიკი, კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის სქემა, თვითეული სატრაქტორო ბრიგადის ბიულეტენი და სხვ.

ამხ. ბრუსი რადიოთი მიღებული ცნობების საფუძველზე ყოველდღიურად რთხ ცალად ადგენს შესრულებულ სამუშაოთა ჯამს, რომელსაც გადასცემს მტს-ის ხელმძღვანელობას. მტს-ის მთავარი აგრონომი და მთავარი ინჟინერი ყოველ დილით შეიკრიბებიან სადისპეტჩეროში, ეცნობიან საქმის მდგომარეობას და იღებენ სათანადო გადაწყვეტილებას.

მტს-ში 1948 წელს მოაწყეს სპეციალური კურსები სადისპეტჩერო სამსახურის ორგანიზაციის შესასწავლად, სადაც ძირითადად ჩაბმული იყვნენ ბრიგადების აღმრიცხველები. მათ კარგად შეისწავლეს რადიოსაქმე. მიუხედავად იმისა, რომ სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველები მეხუთე წელია წარმატებით მართავენ რადიოს და ამავე დროს თავიანთ ძირითად მოვალეობასაც კარგად ასრულებენ, მათთვის ყოველწლიურად ეწყობა სემინარები.

სადისპეტჩერო სამსახურის კარგად მოწყობით, მედვედოვსკის მტს-ში მიაღწიეს მოძრავი სახელოსნოების მუშაობის მადალ დონეს, საწვავის დიდ ეკონომიას და საუკეთესოდ დააყენეს აღრიცხვა.

მიუხედავად სადისპეტჩერო სამსახურის დიდი მნიშვნელობისა, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ მტს-ში ამ საქმეს სერიოზული ყურადღება არ ექცევა.

სადისპეტჩერო სამსახურის უგულებელყოფის შედეგად ზოგიერთ მტს-ში მოძრავი სახელოსნოები ხშირად უმიზნოდ ხარჯავენ ძვირფას დროს, რადგან წინასწარ არ იციან, რომელ სატრაქტორო ბრიგადას ესაჭიროება დახმარება.

საქართველოს ყველა მტს-ის ხელმძღვანელთა ამოცანაა გამოიყენონ და პრაქტიკაში დანერგონ მედვედოვსკის მტს-ის გამოცდილება, საუკეთესოდ მოაწყონ სადისპეტჩერო სამსახური და ნამდვილად ჩააყენონ ეს რგოლი სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის სამსახურში.

გ. ჩაჩანიძე,
ინჟინერ-მექანიზატორი.

ყუბანელ მექანიზატორებთან

მატარებელი ყუბანის ხელისგულივით გაშლილ ველებზე მიქრის. ღამეა, მაგრამ მაინც ვაგონის ფანჯრებიდან ვიყურებით. ხანდახან რკინიგზის გასწვრივ ელექტრობით განათებული სტანციები გაიელვებენ. ძველებური ციხე-კოშკებივით დგანან უზარმაზარი ელევატორები. სიბნელეში ზოგჯერ წყვილ-წყვილ სინათლეს ვამჩნევთ, ალბათ, ავტომანქანები მიიკვლევენ გზას...

თენდება... უკვე კარგად მოჩანს მრავალფრად მოხატული ყუბანის ბარაქიანი მიწა, ქარზე ღელავს შემოდგომის ხორბლის ჯეჯილი. გულს ახარებს მდიდარი ქალაქები და სტანციები, თვალს ეალერსება ცისა და მიწის შეერთებამდე გადაჭიმული მინდვრები.

მატარებელი სადგურ მედვედოვსკს მიადგა. მგზავრები წამოიშალნენ. ქართველი სტუმრები მტს-ისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. სტანციას ეძინა. ეტყობოდა არც მექანიზატორებს დაეწყოთ ჯერ მუშაობა. ამიტომ მტს-ის ფართო ეზოში მხლოდ დეგმირული აგებულების კაზაკი ივანე ხომენკო და მომცრო ტანის ახალგაზრდა ტრაქტორისტი დაგვხვდნენ.

— გამარჯობათ, — მოგვესალმა ხომენკო, — ჩვენ ველოდით, ვხედავ საქართველოდან გვეტუმრეთ!

— დიახ, საქართველოდან!

სანამ ივანე თავის ვეებერთელა ხელს სათითოოდ გვართმევდა, მომცრო ტანის ტრაქტორისტი ღიმილით გვიცქერდა.

რამდენიმე წუთში ეზო მექანიზატორებით აივსო. ისინი მოდიოდნენ საკუთარი ავტომანქანებით, მოტოციკლეტებით, ველოსიპედებით. სრულ 9 საათზე სახელოსნოსა და დამხმარე საწარმოებში მუშაობა გაჩაღდა.

მალე მტს-ის დირექტორი ამხ. დიმიტრი ექვთიმეს-ძე მალიუტა და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ანდრია ტიმოთეს-ძე საზონოვი გავიცანით. კაბინეტში მიგვიპატიჟეს.

— სიამოვნებით გავუზიარებთ ქართველ მექანიზატორებს ჩვენს გამოცდილებას, — განაცხადეს მათ.

ოთხი დღე გაატარეს მედვედოვსკში ქართველმა სტუმრებმა. გულდასმით ეცნობოდნენ მტს-ის მუშაობის მოწინავე მეთოდებს, დაუმეგობრდნენ მისი სახელოვანი კოლექტივის წევრებს, გაეცნენ მძლავრ ტექნიკას და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

ქართველ მექანიზატორთა ჯგუფში შედიოდნენ ხაჭართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მუშაკები: ამხ. ა. რუხაძე, გ. ჩაჩანიძე, გ. ვაშაძე, მტს-ების მთავარი ინჟინრები ამხ. შ. ციციშვილი, დ. სარიევი, ა. დემეტრაშვილი, ა. კალანდარიშვილი, პ. ეზუგბაია, ი. აბაზოვი და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ამხ. დ. გუგუშვილი.

* * *

საინტერესო ისტორია აქვს კრასნოდარის მხარის მედვედოვსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. იგი შეიქმნა 1931 წელს — საკოლმეურნეო ცხოვრების გარიჟრაჟზე. დიდ წარმატებას მიაღწია მტს-ის კოლექტივმა ომისწინა წლებში. ამხ. დიმიტრი ექვთიმეს-ძე მალიუტამ მშვენივრად გაფორმებული მონოგრაფია გვაჩვენა. იქ ვკითხულობთ, რომ მედვედოვსკელებმა 1937, 1938 და 1939 წლებში ზედიზედ მოიპოვეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. მოსავლიანობის ზრდის საქმეში სერიოზული წარმატებებისათვის მტს-ი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენითა და სპეციალური სიგელით.

დაიწყო დიდი სამამული ომი. გერმანიის ფაშიზმის მიერ დანთებულმა ომის ხანძარმა გადაიარა ყუბანის მიწაზე, გაანადგურა ათასობით კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, გააპარტახა ქალაქები და სოფლები.

1943 წელს ფრონტზე ჯერ კიდევ გააფთრებული ბრძოლები იყო, როცა მშობლიურ მტს-ში ნაომარი ადამიანები დაბრუნდნენ. თითქოს შეუძლებელი იყო ყველაფრის აღდგენა, მაგრამ მექანიზატორებმა, დიდ სიძნელეთა მიუხედავად, მტს-ი მაინც აღადგინეს, ამასთან უფრო კეთილმოწყობილი, უფრო ძლიერი გახადეს იგი.

— საინტერესოა, რა ბედი ეწია ორდენსა და სიგელს? — იკითხეს სტუმრებმა.

ამხ. მალიუტამ ცეცხლგამძლე კარადა გააღო და გასანთლულ ქაღალდში გახვეული ნივთები გადმოალაგა.

— აი, ჩვენი სიამაყე — ორდენი და წითელყდიანი სიგელი. ჩვენმა ადამიანებმა შეძლეს მათი შენახვა ოკუპაციის ძმიე პირობებში. თქვენ, ალბათ, იცით, თუ რას ნიშნავს სამხედრო ნაწილისათვის საბრძოლო დროშის დაკარგვა. მექანიზატორები ამ ორდენს თავიანთ დროშად თვლიან...

და ეს დროშა მაღლა უჭირავთ მედვედოვსკელ მექანიზატორებს. მედვედოვსკის მტს-ი თავისი ღირსშესანიშნავი წარმატებებით მთელ ყუბანშია განთქმული. მტს-ს პირველმა განსაორგანიზებელა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, აითვისა და გაუმჯობესა ახალი იარაღ-მანქანები, მკვეთრად აამაღლა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა.

რით აღწევენ მედვედოვსკელი მექანიზატორები ამ წარმატებებს? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მუშაობენ შეწყობილად, იჩენენ შემოქმედებით ინიციატივას, მაღალ შეგნებულობას.

როცა ღრმად ჩაუფიქრდებით მტს-ის მუშაობას, მას აუცილებლად შეადარებთ კარგად დისციპლინირებულ სამხედრო ერთეულს. მტს-ის თვითეული რგოლი, თვითეული მუშაკი გამსჭვალულია ერთი სურვილით — არა მარტო დაამარცხოს ბუნების ძალები, არამედ ხალხის სამსახურშიც ჩააყენოს ისინი.

* * *

მტს-ის კანტორის ერთი ოთახის კარზე წარწერაა: „სადისპეტჩერო“. აქ მაგიდის წინ ზის სიმპატიური სახის კაზაკი ივანე პავლეს-ძე ბრუსი. ოთახის კედლები აჭრელებულია მრავალნაირი სქემებით. ერთ მაგიდაზე დადგმულია „ურალის“ ტიპის რადიოტელეფონი, მეორე მაგიდაზე კი გაშლილია მტს-ს შემავალ კოლმეურნეობათა მიწის ფართობების რუკა. ეს რუკა ადგილი წასაკითხავია. ნათლად ხედავთ, რომელ ფართობში მტს-ის რომელი ტრაქტორი მუშაობს, იცით, რომელი მარკისა და ნომრის მანქანა რა სამუშაოს ასრულებს. პატარა, ჭადრაკისებური ფიგურები, რომლებიც თვითეულ ტრაქტორს გამოხატავენ, თანდათანობით ინაცვლებენ ადგილსამყოფელს. დისპეტჩერი ამხ. ბრუსი მინდვრად მყოფი ბრიგადებისაგან მიღებული ოპერატიული ცნობების მიხედვით გადაადგილებს ხოლმე ფიგურებს.

— ლაპარაკობს „ია“... გვიპასუხეთ, ხად არის ტრაქტორი ნომერი ცამეტი... გაისმის დისპეტჩერის ხმა.

ცოტა ხნის შემდეგ მიკროფონში ახალგაზრდა ბრიგადირის ლაპარაკი იწყება:

— მე „ვარდი“ ვარ. გამარჯობა, ტრაქტორი ნომერი ცამეტი მეშვიდე ფართობზეა, მზრალად ხვნაზე მუშაობს, ყველაფერი რიგზეა...

— როგორც ხედავთ, ჩვენი „ტელევიზორი“ (ასე ეძახის ამხ. ბრუსი სადისპეტჩეროს) მექანიზატორებს კარგ სამსახურს უწევს. რადიოკავშირის გარეშე ვერც კი წარმოგვიდგენია ორგანიზებული შრომა.

— სადისპეტჩეროს სწორად გამოყენებით, უნიზნო „მოგზაურობის“ აღკვეთითა და მუშაობაში ოპერატიულობის დანერგვით საწვავის ხარჯვა 40 პროცენტით შევამცირეთ, — თქვა ამხ. მალიუტამ.

მედვედოვსკელთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადისპეტჩერო ნამდვილად უნდა იყოს მტს-ის დირექციის საბრძოლო შტაბი, მისი ფხიზელი თვალი და ყური.

* * *

1951 წლის გაზაფხულზე ყუბანში უჩვეულო გვალვები დაიწია, ჯერ კიდევ ხვნა-თესვის პერიოდში ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა დააკნო და გაახმო ყველაფერი.

მედვედოვსკელმა მექანიზატორებმა ყველაზე თვალნათლივ მაშინ დაინახეს ხვნის პროგრესული წესების უპირატესობა.

ეს წესები კი იმაში მდგომარეობს, რომ მიწას ხნავენ არა 24-25 სანტიმეტრზე, როგორც ეს მანამდე იყო დაკანონებული, არამედ 28-30 სანტიმეტრის სიღრმეზე. შედეგი შესანიშნავი აღმოჩნდა. მიუხედავად მკაცრი გვალვისა, მტს-ის თვითეული რგოლი, თვითეული მუშაკი გამსჭვალულია ერთი სურვილით — არა მარტო დაამარცხოს ბუნების ძალები, არამედ ხალხის სამსახურშიც ჩააყენოს ისინი.

* * *

ეს ფესვები ეს ფესვები ეს ფესვები

გავაუმჯობესოთ თბილისის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება

თბილისის საქალაქო საბჭოს სესიაზე

ყოველდღიურად უმჯობესდება თბილისის მშრომელთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება. შენდება და მწყობრში დგება ლამაზი არქიტექტურული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სამკურნალო დაწესებულებები, კლუბები. სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში უკვე ჩანს ერთგვარი ძვრები პარტიისა და მთავრობის მოწოდების საპასუხოდ, სულ უფრო მეტი რაოდენობით იღებს ქალაქის მოსახლეობა ფართო მოხმარების საგნებს. თბილისში ხუთასზე მეტი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოა, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მშრომელთა კულტურული მომსახურების, ქალთა შრომის შემსუბუქების საქმეში.

საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ისტორიულ დადგენილებებში საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების, ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მოცემულია მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზული პროგრამა. მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება კი ამ საერთო საკითხის ნაწილს წარმოადგენს. თბილისის საქალაქო საბჭოს მეშვიდე სესიამ ამ დღეებში განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ბუჯიაშვილის მოხსენება დედაქალაქის მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რომელიც გაწეულია თბილისელთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ამასთანავე ყურადღება გაამახვილეს ნაკლოვანებებზე, რომლებიც დროულ გამოსწორებას მოითხოვენ.

თბილისში ჯერ კიდევ იგრძნობა ბინების ნაკლებობა, მშრომელთა მოთხოვნილებანი ბინის მხრივ მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ეს აიხსნება იმითაც, რომ სამინისტროების და ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა საბინაო მშენებლობას. მაგალითად, უკანასკნელ დრომდე ცუდად ზრუნავდნენ საბინაო მშენებლობაზე განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, იუსტიციის და სხვა სამინისტროები. სერიოზული ნაკლოვანებებია საშენებლო ორგანიზაციების — „თბილისმშენისა“ და „საქმშენის“ მუშაობაში. შეუწყნარებელია, რომ „თბილისმშენის“ მიერ 123-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სანაპირო ქუჩაზე ხუთი წელიწადია ჭიანურდება. თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას, რამაც ქალაქის განვითარების გენერალური პროექტიდან სერიოზული გადახვევები გამოიწვია.

სესიაზე მწვავედ გააკრიტიკეს საბინაო-სარემონტო კანტორების მუშაობა. თბილისში 388 სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო 83 უნდა დაინგრეს, რადგან მათი რემონტი აღარ შეიძლება. კაპიტალური რემონტის ათი თვის გეგმა ქალაქის ხაზით შესრულებულია მხოლოდ 79 პროცენტით. ზოგჯერ სარემონტო სამუშაოები დიდი დაგვიანებით, უხარისხოდ სრულდება. სარემონტო კანტორებს არა ჰყავთ მუშათა მუდმივი კადრები, განიცდიან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ნაკლებობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი სარემონტო კანტორების გეგმიური, რიტმული მომარაგება სამშენებლო-სარემონტო მასალებით. საბინაო-სარემონტო კანტორებმა დროულად და მაღალხარისხოვნად უნდა ჩაატარონ სარემონტო სამუშაოები.

სესიის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ თბილისის საწარმოები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს ფართო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად. ეს ითქმის ორჯონიკიძის სახელობისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხნებზე, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაზე და სხვებზე. სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი უმაღლესი და პირველი ხარისხის ავეჯის გამოშვება. თბილისელ მშრომელთა გემოვნებასა და მოთხოვნებს ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს სარეწაო კოოპერაციის არტელების მიერ გამოშვებული პროდუქცია. ამიტომ ამ საქონლის რეალიზაცია ვერ ხერხდება. ნაკლოვანებანი აღინიშნება აგრეთვე ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ისინი ცუდად სწავლობენ მომხმარებლის მოთხოვნილებებს, თავიანთ მტკიცე მოთხოვნებს არ უყენებენ საწარმოებს, რომ მათ უფრო მეტი რაოდენობით და მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვან. ვაჭრობის მუშაკების მოუქნელი მუშაობის შედეგად მაღაზიებში ხშირად არ არის ფართო ასორტიმენტის საქონელი. მაგალითად, „გლავგასტრონომის“ № 2 მაღაზიაში შემოწმებისას არ აღმოჩნდა ღვინო, ასანთი, ძეხვეული და სხვ.

მომხსენებელი და კამათში გამოსული ამხანაგები ვრცლად შეჩერდნენ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საკოლმეურნეო ბაზრების, საყოფაცხოვრებო სახელოსნოებისა და კომბინატების მუშაობაში.

სესიამ მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება თბილისის მშრომელთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

საყურადღებო სიგნალები

როდის მივიღებთ?

ბევრ ჭიათურელ მოქალაქეს გამოწერილი აქვს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თხზულებანი, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი. პირობების თანახმად აღნიშნული წიგნები ხელისმომწერებს უკვე მიღებული უნდა ჰქონდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მიღებული გვაქვს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მხოლოდ პირველი ტომი და ა. წერეთლის თხზულებათა ორი ტომი, ხოლო ლექსიკონების გამოცემაზე, ალბათ, ჯერ არც უფიქრიათ.

საინტერესოა, როდის მივიღებთ ხელისმომწერები აღნიშნულ წიგნებს?

მასწავლებელი არ. ტყემალაძე, ექიმი ვ. მოსიაშვილი, ინჟინერი აკ. ნუცუბიძე.

უყურადღებოდ მიტოვებული ქუჩა

კარგ ამინდშიც ძნელია, ცუდში ხომ პირდაპირ შეუძლებელია კოლექტივიზაციის ქუჩაზე სიარული. წვიმის დროს აქ გუბეები დგება, გაუვალი ტალახია.

ამ ქუჩით სარგებლობენ ავტოსარემონტო ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისა და მრავალი სხვა საწარმო-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები. აღნიშნული ქუჩის კეთილმოწყობის საკითხზე მრავალი საჩივარი და განცხადება დაიწერა, მაგრამ უშედეგოდ.

დრო არის, რომ თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიიღოს გადამჭრელი ზომები ქუჩის კეთილმოსაწყობად.

ი. ჟვანია.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„გაზეთის უმნიშვნელოვანესი ამოცანა“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 23 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ პრესის მიმოხილვაში გაკრიტიკებული იყო აჭარის საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, რომელიც სუსტად იბრძოდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სწრაფი აღმავლობისათვის, შრომის მოწინავე მეთოდების, ნოვატორი მუშების გამოცდილების პროპაგანდისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. დავითაძე გვატყობინებს, რომ პრესის მიმოხილვაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. პრესის მიმოხილვა განხილულ იქნა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის განყოფილებათა გამგეებთან ერთად და დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციამ შემოიღო მუდმივი რუბრიკები „გამოდღლების ტრიბუნა“ და „სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სახელმოწვეული ოსტატები“. სადაც ქვეყნდება მასალები დადებითი გამოცდილების განზოგადების მიზნით. რედაქციის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე კორესპონდენციების გამოქვეყნება თემაზე „გადაჭრით გავაუმჯობესოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება“.

გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ნოემბერში გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის მუშაობის ანგარიშის მოსმენა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე.

საქართველოს მეფეხსაცმელეთა დელეგაცია მოსკოვში

რამდენიმე დღის წინათ მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის „პარიუსკაია კომუნას“ კოლექტივის მიწვევით მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკთა დელეგაცია, რომელშიც შედიან ფეხსაცმლის ფაბრიკებისა და ტყავგადასამუშავებელი ქარხნების მოწინავე ადამიანები.

დელეგაციაში არიან თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ნ. ბაბასიანი, იმავე ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროს უფროსი ვ. ღლონტი, გამომჭრელი მუშა ვ. ლაკიევა, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ოსებაშვილი, საბავშვო ფეხსაცმლის საამქროს უფროსი ვ. ტრდატიანი, თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის სატვიფრო საამქროს უფროსი ა. კუხალაშვილი, გამომჭრელი ე. არევშტანიანი, მერანტე ი. ბუკოვი და სხვები, სულ 14 კაცი.

დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილე მ. ჩხეიძე.

16 ნოემბერს საქართველოს მეფეხსაცმელეთა დელეგაცია ჩავიდა მოსკოვში. მას მხურვალე ძმური შეხვედრა მოუწყეს ფაბრიკა „პარიუსკაია კომუნას“ კოლექტივის წარმომადგენლებმა.

საქართველოს ფეხსაცმლის მრეწველობის ნოვატორები გაეცნობიან ფაბრიკა „პარიუსკაია კომუნას“ საამქროების, ცვლების, მოწინავე ბრიგადების მუშაობას და გამოცდილებას და გაფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას ფაბრიკის კოლექტივთან.

სურათზე: ფაბრიკა „პარიუსკაია კომუნას“ კოლექტივის წარმომადგენლების შეხვედრა საქართველოს ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკთა დელეგაციასთან მოსკოვში, კურსკის სადგურზე.

ფოტო ე. ტიხონოვისა

სამეცნიერო კონფერენცია აბასთუმანში

კურორტ აბასთუმნის სამეცნიერო საბჭო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის რესპუბლიკურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებს აბასთუმანში.

ამას წინათ მოწყობილ ასეთ კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 18 მოხსენება კურორტის პიროვნებში ტუბერკულოზიან ავადმყოფთა მკურნალობის მთელი რიგი აქტუალური საკითხების შესახებ.

ანტიბაქტერიალური და ახალი სინთეზური პრეპარატებით მკურნალობის ეფექტიანობის შესახებ საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. ჭარცივაძემ, ექიმებმა: რ. წერეთელმა, თ. ბერიკაშვილმა, ი. ჯაფარიძემ, ა. მალოზემოვამ და ლ. ჩიქოვანმა.

ექიმებმა ვ. კეშელავამ, ნ. მიქელაძის, ვ. შენგელიას და ნ. ბუმბაშვილის მოხსენებებში ფართოდ იყო გაშუქებული კურორტზე ხელოვნური პნევმატორაქსით და ხელოვნური პნევმოპერიტონეუმით მკურნალობის საკითხები.

საინტერესო მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე ახალგაზრდა ექიმებმა: თ. კორძახიამ — ტუბერკულოზიან ავადმყოფებში აზოტოვანი ცვლის თავისებურებათა შესახებ და ვ. კარიაგინმა — ტუბერკულოზით დაავადებულთა ანგბადით მკურნალობის საკითხზე.

კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა დიდი უპირატესობა კურორტზე ტუბერკულოზით ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობისა სანატორიულ-ჰიგიენურ-დიეტურ რეჟიმთან ერთად ქირურგიული მეთოდებისა და ანტიბაქტერიალური პრეპარატების გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მკურნალობის ხარისხი და ეფექტიანობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამ კონფერენციაზე მომხსენებელთა და კამათში გამოსულთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ კურორტზე მომუშავე ახალგაზრდა ექიმები, რომლებმაც უნარიანად შეძლეს თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების მეცნიერული განზოგადება.

შ. მხეიძე,
ტუბერკულოზის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თორაკალურ-ქირურგიული განყოფილების გამგე.

ქვის ნანარმის ფაბრიკა

თბილისის ფაბრიკა „საქფერადქვები“ ალებასტრისაგან ამზადებს საწერი მაგიდის სამლინე მოწყობილობას, საფერფლეებს, საყვავილე ვაზებს, ოთახის მოსართავ პატარა სპილოებს, მელიებს, დათვებს და სხვ.

უკვე 15-20 წელია, რაც ფაბრიკაში მუშაობენ ქვაზე ამომჭრელი ოსტატები ა. მიგოტინი, ი. კუშპელევი, ა. ტეპლიხი. ისინი გემის გადამეტებით ამზადებენ და უშვებენ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. ამ დღეებში ა. მიგოტინმა ქვისაგან გამოკვეთა საფერფლე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მიხედვით. ი. კუშპელევმა გამოკვეთა ლამაზი საფერფლეები, რომლებზეც გამოსახულია არწივი, ირემი. კარგია მის მიერ გამოკვეთილი პატარა ყუთი, რომლის ზედა ნაწილზე გამოხატულია ვაზის შტო ყურძნის მტევნით.

უცხოეთის დელეგაციები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ჩინეთის [illegible] პუბლიკის ქალთა დელეგაციის [illegible] საბჭოთა კავშირში სტუმრად არის საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მუშები, გლეხები, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწენი. დელეგაციას მეთაურობს სრულიად ჩინეთის დემოკრატ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე სიუი გუან-პინი.

აეროდრომზე ჩინელი ქალების წარმომადგენლებს გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ნ. ჯავახიშვილი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ულენტი, თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ჭურიძე, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები ე. მეხრაძე, გ. რაჭველიშვილი, ტ. ხატიაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე და სხვები.

სტუმრები გაეცნობიან ქართველი ქალების ცხოვრებასა და მუშაობას. (საქდესი).

* * *

18 ნოემბერს კიევიდან თბილისს ჩამოვიდა ავსტრიის სპორტის მოღვაწეთა, ჟურნალისტთა და სპორტსმენთა დელეგაცია.

დელეგაციას მეთაურობს კარინტიის საყოველთაო სასპორტო კავშირის პრეზიდენტი დოქტორი ფრანც ფელდნერი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ავსტრიის ცნობილი მოთხილამურეები, მძლეოსნები და ტანსაცმლისტები.

სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ბაძელაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარსამმართველოს უფროსის მოადგილე თ. მიჩაბელი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. რცხილაძე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი, პროფკავშირების ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა ხელმძღვანელები და ქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დელეგაცია გაიცნობს, თუ როგორ არის დაყენებული სასპორტო მუშაობა საქართველოში. (საქდესი).

ახალი წიგნები

ალ. შენგელია — „ლ ე ქ ს ე ბ ი“, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 5.000, გვ. 210, ფასი 5 მანეთი.

წიგნში თავმოყრილია ავტორის ძირითადი პოეტური ნაწარმოებები, რომელთა მთავარი თემაა ჩვენი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, ბრძოლა კომუნიზმის აშენებისათვის. კრებული დაყოფილია განყოფილებებად: „სამშობლო გაზაფხულისა“, „პირველი სიმღერა“, „ომგადახდილი ლექსები“ და „ბავშვებს“.

ვ. დარასელი — „კ ი ბ ე ბ ი“, დრამა 5 მოქმედებად, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 5.000, გვ. 108, ფასი 3 მან. 50 კაპ.

პიესა ეგებულია სამოქალაქო ომის თემაზე. გვიხატავს ახალშექმნილი საბჭოთა არმიის ბრძოლას თეორგვარდიელებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ, ამ ბრძოლაში მე-16 დივიზიის მეომრების, მათი სახელოვანი მეთაურის, „ქართველი ჩაპაევის“ ვასილ კიკვიძის მონაწილეობას, ლეგენდარულ საგმირო საქმეებს.

ვილი ბრედელი — „ერნსტ ტელმანი“. პოლიტიკური ბიოგრაფია, მთარგმნელი ოთარ გვინჩიძე, საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 8.000, გვ. 235, ფასი 6 მან. 30 კაპ.

წიგნი ასახავს გერმანიის მუშათა კლასის გამოჩენილი ბელადის ერნსტ ტელმანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მას წამძღვარებული აქვს ვილჰელმ პიკის წინასიტყვაობა და ვალტერ ულბრიხტის მიერ 1949 წლის 18 აგვისტოს წარმოთქმული სიტყვა — „ერნსტ ტელმანის ხსოვნას“. წიგნს დართული აქვს ნ. კალინდარიშვილის წერილი — „ვილი ბრედელი“.

ესპანეთის მშრომელთა უმწეო მდგომარეობა

მიმდინარე წლის 26 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ფრანკისტული ესპანეთის მთავრობას შორის ხელმოწერილ იქნა ორმხრივი სამხედრო შეთანხმება, რომელიც შეერთებულ შტატებს უფლებას აძლევს ესპანეთი გამოიყენონ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზად, ხოლო ესპანელი ხალხი — საზარბაზნე ხორცად.

ესპანელი ხალხის ჯალათმა ფრანკომ ფაქტიურად მიჰყიდა ესპანეთი ამერიკელ იმპერიალისტებს. ეს მოასწავებს ესპანელი ხალხის ექსპლოატაციის გაძლიერებას, ესპანელ მშრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომ გაუარესებას.

ესპანეთს უკავია პირენეის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი, რომელსაც უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მისი ტერიტორიის ფართობი 503,1 ათასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობას რაოდენობა 28 მილიონს აღემატება. მას ეკუთვნის ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში და კანარის კუნძულები ატლანტის ოკეანეში. აფრიკაში აქვს კოლონიები: ესპანეთის გვინეა, დასავლეთი საჰარა და ესპანეთის მაროკო. როგორც ესპანეთს, ისე მის კოლონიურ სამფლობელოებს ეოლ-სტრიტის მაგნატები განიხილავენ როგორც დასაყრდენ პუნქტებს, სამხედრო ბაზებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ განზრახულ აგრესიულ ომში.

აი ძირითადი მიზანი, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები ისახავენ. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ომისგამჩაღებელ ბრედლის განცხადება. „ყველამ, ვინც შეისწავლა ევროპის რუკა, — ამბობს იგი, — იცის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ ქვეყანას მომავალი ომის შემთხვევაში“. ამერიკელი მონოპოლისტები განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებენ ესპანეთის სამხედრო-საჰაერო ბაზებზე. ამის შესახებ ჟურნალი „ამერიკა“ წერდა: „ესპანეთის საჰაერო ბაზებიდან ჩვენ შეგვიძლია დავარტყათ საბჭოთა კავშირის შიდა რაიონებს“.

ფაშისტ გენერალ ფრანკოს თვითნებობამ და ამერიკელ იმპერიალისტთა მტაცებლურმა პოლიტიკამ ესპანეთის ეკონომიკა კატასტროფამდე მიიყვანა, ხოლო მოსახლეობა — სიღატაკემდე. გამალებული საომარი მზადება და ქვეყნის მილიტარიზაცია, რასაც ჯალათი ფრანკო ამერიკელთა წაქეზებით ახორციელებს, მძიმე ტვირთად აწვება მშრომელ მოსახლეობას. განუწყვეტლივ მატულობს ფასები, მცირდება სოციალური საჭიროებათა ხარჯები, ეცემა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი.

ფრანკისტულ ესპანეთში ჭარბად არიან ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები. დღითიდღე იზრდება „ტურისტების“ რიცხვი, რომლებიც ესპანეთში მოგზაურობენ. 1952 წლის აგვისტოში ესპანეთს ესტუმრა ნათობის მრეწველობის „მეფე“ უოლსტრიტელი მილიარდერი როკფელერი. ამერიკელმა სამხედრო მოხელეებმა ესპანეთში გახსნეს სამხედრო მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები. ესპანეთის არმიაში მივლინებული არიან ამერიკელი ინსტრუქტორები. ისინი ამერიკულ ყაიდაზე წვრთნიან ესპანელ ჯარისკაცებს.

მრავალრიცხოვანი არმიის, ამერიკელ სამხედრო მოხელეთა და სპეციალისტთა შენახვა ოდიოზის ხარჯებს მოითხოვს. ვაშინგტონის კარნახით ფრანკისტული ესპანეთი ყოველწლიურად ბიუჯეტის დიდ ნაწილს ხარჯავს ომისათვის მოსამზადებლად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ფრანკოს ბატონობის პერიოდში ცხოვრების ღირებულება მნიშვნელოვნად გაძვირდა. თვით ფრანკისტული პრესის აღიარებით 1949-1951 წლებში ფართო მოხმარების საქონლის ფასები გაიზარდა 50 პროცენტით. ესპანელი მუშის ხელფასი დღეში 20 პესეტს არ აღემატება; ამ თანხით მუშას შეუძლია იყიდოს მხოლოდ 2 კილოგრამი პური. ოჯახი შიმშილისაგან რომ იხსნას, მუშები ქანცგაწყვეტით მუშაობენ 14-16 საათს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველა მუშას ასეთი სამუშაოც არა აქვს. ესპანეთში 600 ათასი უმუშევარია. ისინი მუდმივი შიმშილისათვის არიან განწირული.

უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება სოფლის მშრომელი მოსახლეობა. ესპანეთი, როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მიწის დამუშავება წარმოებს პრიმიტიული, კუსტარული წესით. ნიადაგის გამოფიტვის, სასუქისა და საარიგაციო სისტემის უქონლობის პირობებში ყოველწლიურად კლებულობს მოსავლიანობა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობა ერთი მესამედით შემცირდა.

მიწის უდიდესი ნაწილი მემამულეებსა და კულაკებს ეკუთვნით. სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სეზონური მუშის მძიმე ჯაპანს ეწევა. მათ არა აქვთ მუდმივი სამუშაო. როცა სეზონურად მუშაობენ, მაშინაც დღიური გამომუშავება 12 პესეტს არ აღემატება. ცხოვრების ასეთი აუტანელი პირობების გამო სოფლიდან გლეხები ქალაქებისაკენ მიიქცევიან, მაგრამ ქალაქებშიც უმუშევრობა და სიღატაკეა გამეფებული.

ესპანეთის მრეწველობაც დიდ სიძნელეებს განიცდის. მიტ წილ საწარმოებს მოძველებული მოწყობილობა აქვს, რის გამო პროდუქციის გამოშვება თანდათანობით კლებულობს, ხარისხი ეცემა. ესპანეთის მსუბუქი მრეწველობა თითქმის სანახევროდ მუშაობს. მთლიანი დატვირთვით მხოლოდ ის საწარმოები მუშაობენ, რომლებსაც სამხედრო ხასიათი აქვთ — ამზადებენ იარაღს, ან მუშაობენ სტრატეგიული ნედლეულის მოპოვებაზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გააქვთ.

ამერიკელი იმპერიალისტები ფრანკოსაგან მოითხოვენ კიდევ უფრო გაძლიერეოს საომარი მზადება. ესპანელი ხალხის მოღალატე გენერალიც ამენებს და აძლიერებს სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზებს, ახდენს სტრატეგიული რკინიგზებისა და გზატკეცილების რეკონსტრუქციას. ასეთმა ხარჯებმა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიარდი პესეტი შეადგინა.

ამერიკელთა ბატონობამ და ფრანკოს ტერორისტულმა რეჟიმმა გამოიწვია ესპანეთის ეკონომიკის რღვევა, მოიშალა მეურნეობის მრავალი დარგი, მივიწყებულია საბინაო მშენებლობა. საბინაო კრიზისი ესპანეთში ყოველწლიურად მწვავდება. მრავალი ათასი ესპანელი ჯურღმულებში და ნესტიან სარდაფებში ათევს ღამეს, მრავალ ათასს სრულებით არა აქვს თავშესაფარი. მხოლოდ მადრიდში და მის მახლობლად სარდაფებში, კარვებში და მიწურებში დაახლოებით 400 ათასი კაცი ცხოვრობს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ტუბერკულოზისა და ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელებას. სამედიცინო დახმარება და საავადმყოფოები მხოლოდ მდიდრებისათვის არსებობს, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას კი არ შეუძლია თუნდაც უბრალო ავადმყოფობისაგან იხსნას თავისი ოჯახის წევრები.

ესპანეთის პრესის აღიარებით ტუბერკულოზით დაავადებულია ბავშვების თითქმის 60 პროცენტი. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ესპანეთში ფართოდ იყენებენ ბავშვთა შრომას, სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ მათ. ესპანეთის მხოლოდ სოფლის მეურნეობაში მემამულეებთან და კულაკებთან მუშაობს დაახლოებით 700 ათასი ბავშვი. სკოლის ასაკის ბავშვების დიდი უმრავლესობა არ სწავლობს. ესპანეთის მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია.

ამერიკელი იმპერიალისტები ესპანელ ახალგაზრდობას უყურებენ როგორც საზარბაზნე ხორცს. ჟურნალი „ამერიკა“ წერდა, რომ ესპანეთს ომის შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს ორი მილიონი კაცი. გენერალი ფრანკო, ივიწყებს რა ისტორიის „ციხეფერდივიზიას“, რომელმაც ჰიტლერული არმიის ბედი გაიზიარა, მზადაა ესპანელი ახალგაზრდები მიჰყიდოს უოლსტრიტის მაგნატებს. ესპანეთის რეაქციული გაზეთი „არიბა“ წერდა: „ჩვენ გვესაჭიროება ამერიკის ხორბალი და შეიარაღება. ერთ მშვენიერ დღეს ამერიკელებს შეიძლება დასჭირდეთ ჩვენი სისხლი“.

მშრომელთა ღატაკურ მდგომარეობას ისიც ამძაფრებს, რომ ესპანეთში გამეფებულია ფაშისტური ტერორი. ამერიკელი იმპერიალისტები და ჯალათი ფრანკო ესპანელ ხალხს შეგნებულად განუმზადებენ მონურ არსებობას. „როცა ესპანელი კარგად ცხოვრობს, ის იწყებს ფიქრს პოლიტიკაზე“, — უსირცხვილოდ აცხადებს ფრანკო. პროგრესული კაცობრიობის აღშფოთება გამოიწვია პირწავარდნილი ფაშისტის, სიკვდილისმეშველ გრაფ უელვასის ბარბაროსულმა განცხადებამ. „ჩვენ უნდა დავხოცოთ, დავხოცოთ და დავხოცოთ! — ამბობს იგი. — წარსულში ესპანელებს ხოცავდა შავი ჭირი და ავადმყოფობანი. ახლა ესპანელები ბაჭიებივით მრავლდებიან და არ შეიძლება ბოლშევიკური იდეები არ შეეხოთ მათ. ამიტომ ჩვენ უნდა დავიცვათ სწორი პროპორცია. გავანადგურთო მოსახლეობის მამაკაცთა შემადგენლობის ერთი მესამედი! — ასეთია ჩვენი პროგრამა“.

გენერალი ფრანკო თანმიმდევრულად ახორციელებს ესპანელი მშრომელი ხალხის განადგურების ავაზაკურ პროგრამას. ფრანკისტული რეჟიმის ბატონობის პერიოდში მრავალი ასეული ათასი ესპანელი პატრიოტი მოაკვლევინეს ან ციხეებში. ციხეებში ადამიანებს ჯალათები ანგარიშს ულსწორებენ გამოუძიებლად და გაუსამართლებლად.

ფრანკოს ტერორისტულ რეჟიმს აქეზებენ ოკეანესგაღმელი იმპერიალისტები. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრმა შეფერმა თავხედურად განაცხადა, რომ „საუკეთესო დახმარება, რის გაწევაც ესპანელებს შეუძლიათ, ეს არის — განაგრძონ ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ“. ამიტომ გაიღეს უოლ-სტრიტის მაგნატებმა 226 მილიონი დოლარი, რასაც 26 სექტემბრის შეთანხმებით აძლევენ ესპანეთს. ეს თანხა მთლიანად უნდა მოხმარდეს ამერიკული იარაღის შეძენასა და სამხედრო წარმოების გაფართოებას.

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის განუწყვეტელი გაუარესება, ფაშისტური ალვირახსნილობა. ქვეყნის მილიტარიზაცია იწვევს ესპანელი ხალხის უკმაყოფილებასა და მისი ბრძოლას გაძლიერებას საარსებო დონის ამაღლებისათვის. ფართოდ გაიშალა პარტიზანული მოძრაობა. გალისიის, კატალონიისა და არაგონის მთელ რიგ პროვინციებში გაჩაღებულია პარტიზანული ბრძოლა. ესპანელი ხალხის ბრძოლა სულ უფრო აქტიურ, ორგანიზებულ და მტკიცე ხასიათს იღებს.

მშრომელი მასების ბრძოლას წარმართავს ესპანეთის სახელოვანი კომუნისტური პარტია. ფაშისტური ტერორის მიუხედავად, მტკიცეა ესპანელი ხალხის სულიერი მდგომარეობა, ძლიერია მისი საბრძოლო განწყობილება. ესპანეთის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც დიდი პატრიოტი დოლორეს იბარური ხელმძღვანელობს, აღმართული აქვს ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დიადი დროშა. ამ დროშის ქვეშ ერთიანდებიან ესპანეთის მუშები და მშრომელი გლეხები. ამ დროშით ეწევიან ისინი ბრძოლას მშვიდობისათვის, პურისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შორს არ არის ის დღე. როცა ესპანელი ხალხი თავისი სამშობლოს სრული ბატონ-პატრონი იქნება.

ბ. ყურაშვილი.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკ.). საფრანგეთის ეროვნული კრების გუშინდელ დღის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი „ევროპის არმიისა“ და ევროპაწოდებული „ევროპის პოლიტიკური გაერთიანების“ შექმნის პროექტების შესახებ.

სოციალისტური პარტიის დეპუტატები ჟაკე, დეფერი, გუენი, ლე ბაი, აგრეთვე სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წევრი დეპუტატი კოსტ-ფლორე იცავდნენ აღნიშნულ პროექტებს და ცდილობდნენ პარიზის სამხედრო ხელშეკრულება წარმოედგინათ როგორც საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფისა და ომის თავიდან აცილების საშუალება.

ყველა ამ მტკიცებას დაუპირისპირდა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მოწინააღმდეგეთა კარგად დასაბუთებული გამოსვლები, რომლებმაც ცხადყო, რომ პარიზის ხელშეკრულება შეიცავს საფრანგეთისათვის მომაკვდინებელ საფრთხეს და რომ მას მოჰყვება ევროპაში გერმანელი რევანშისტების ბატონობის დამყარება.

დეპუტატმა ლეონ ნოელმა („სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირი“) ეჭვი შეიტანა მტკიცებაში მოჩვენებითი „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც კი „ევროპის არმია“ შეიქმნება, ომის უდიდესი საფრთხე წარმოიშობა.

„ევროპის არმიის“ პროექტი აგრეთვე გადაჭრით უარყო პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრმა ჟილბერ დე შამბრენმა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობა ცდილობს პროექტები განახორციელოს ჯერ კიდევ პარლამენტის მიერ მათ რატიფიკაციამდე. ხაზგასმით აღნიშნა რა „ევროპის გაერთიანების“ საფრთხე საფრანგეთის ზღვისგაღმა ტერიტორიებისათვის და გაიხსენა რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების (მათ შორის საფრანგეთის) ყოველი ნოტა საბჭოთა მთავრობისათვის გადაცემის წინ აღინაუერს ეგზავნება „კონსულტაციისათვის“, ჟილბერ დე შამბრენმა თქვა: „რომელი დოკუმენტით არის გათვალისწინებული, რომ ადენაუერთან უნდა მოწყოს კონსულტაცია ყოველთვის, როცა ჩვენ მოლაპარაკება უნდა ვაწარმოოთ საბჭოთა კავშირთან? ერთადერთი ამგვარი დოკუმენტია ბონის შეთანხმება. მაგრამ იგი ხომ ჯერ არ დამტკიცებულა!“.

დასასრულ ორატორმა განაცხადა, რომ საფრანგეთს მოეპოვება საჭირო საშუალებანი, რომ ხელი შეუშალოს ამერიკის შეერთებულ შტატებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებაში და რომ ეროვნულმა კრებამ მთავრობას უნდა მოსთხოვოს არ იკისროს არავითარი ვალდებულება ჰააგის (იგულისხმება დასავლეთი ევროპის 6 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. — **რედ. შენიშვნა.**) და ბერმუდესის თათბირებზე. მან მოითხოვა გადაიდოს აღნიშნული თათბირები. კამათი გრძელდება.

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკ.). საფრანგეთის ეროვნულ კრებაში ამჟამად გამართულ კამათს თან ახლავს სპარლამენტო ჯგუფების გაძლიერებული ფარული საქმიანობა.

გაზეთი „ლიბერასიონი“ წერს, რომ გუშინდელი ღამე ხნის განმავლობაში მთავრობის მეთაური ლანიელი მოლაპარაკებას ეწეოდა დეგოლელთა ყოფილი ჯგუფის წევრ მინისტრებთან და ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი „კავშირი არ გაწყვიტონ მთავრობასთან“, თუ ეროვნული კრება არ გაიზიარებს მათს თვალსაზრისს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეს მინისტრები მოითხოვენ, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ იკისროს არავითარი ვალდებულება ჰააგისა და ბერმუდესის თათბირებზე, რამდენადაც „ახლანდელი მთავრობა დროებითია“ (პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მთავრობა უნდა გამოიცვალოს — **რედ.**).

გაზეთ „ლიბერასიონის“ ცნობით, ლანიელმა ვერ დაარწმუნა მინისტრები და, მაშასადამე, მდგომარეობა მთავრობაში კვლავ დაძაბულია.

ინდოეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება

დელი, 18 ნოემბერი. (საკ.). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, 17 ნოემბერს დელში ხელი მოაწერეს ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო შეთანხმებას.

ამ შეთანხმებით ინდოეთი ჩეხოსლოვაკიაში შეიტანს რკინას მადანს, ილმენტიტს (ტიტანოვან რკინაქვას — **რედ.**) სელის ზეთს, ჩაის, თამბაქოს, არახისის ზეთს, შელაკს (ფისის სახეობა — **რედ.**), ქარსს, ტყავებს, ჯავარს, დაკონსერვებულ ხილს, მატყლსა და სხვა საქონელს.

ჩეხოსლოვაკია ინდოეთს მიაწოდებს დიზელებს საზღვაო გემებისათვის, მანქანებს ფეხსაცმლისა და რეზინის მრეწველობისათვის, მანქანებს სატყეო მრეწველობისათვის, ჰიდრავლიკურ წნეხებს, სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს, საღებრებს, ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, საფეიქრო მანქანებს, მოტოციკლებს, ავტომოწყობილობას და სხვ.

ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ინდოეთში დურდილმა განაცხადა, რომ ინდოეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერა სამსახურს გაუწევს ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

დემოკრატიული ძალების წარმატება იტალიის მუნიციპალურ არჩევნებში

რომი, 17 ნოემბერი. (საკ.). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ მუნიციპალურ არჩევნებში, რაც 15 ნოემბერს გაიმართა იტალიის ბევრ თემში, წარმატება მოიპოვეს კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა.

ჩივიტაკასტელანაში (ციტერბოს პროვინცია) კომუნისტების, სოციალისტებისა და სხვა მემარცხენე ჯგუფების სიამ მოაგროვა 3.972 ხმა, ე. ი. 255 ხმით მეტი, ვიდრე 7 ივნისის არჩევნებში; ქრისტიან დემოკრატთა სიამ მიიღო 1.711 ხმა. ქრისტიანმა დემოკრატებმა 7 ივნისის არჩევნებთან შედარებით დაკარგეს 308 ხმა.

დემოკატიულმა ძალებმა მოაგროვეს ხმების 63 პროცენტი.

ვიტერბოს, კოზენცისა და კატანიის პროვინციების ბევრ პატარა თემში კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა ასობით ახალი ხმა მიიღეს წინა არჩევნებთან შედარებით.

ქალაქ ანკონაში პროვინციული საბჭოს წევრის არჩევნებში კომპარტიის კანდიდატმა მიიღო 5.796 ხმა (61 პროცენტი). მაშინ როცა ქრისტიან დემოკატთა კანდიდატს მისცეს 2.164 ხმა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი 16 ნოემბრის სხდომაზე განაგრძობდა 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისა და მის იმ შესწორებათა განხილვას, რომლებიც სხვადასხვა დელეგაციამ წარადგინა კომიტეტის მიერ განსახილველ საკითხზე განიარაღების კომისიის მოხსენების შესახებ.

როგორც ვიუწყებოდით, 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტმა იმ სახით, როგორითაც იგი მისმა თანაავტორებმა შეერთებული შტატების მეთაურობით წარადგინეს, ვერ დააკმაყოფილა ბევრი ქვეყნის დელეგაციები, რომლებმაც სერიოზულად გააკრიტიკეს ეს პროექტი და მთელი რიგი შესწორებანი წარადგინეს. ამ კრიტიკის შედეგად 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის თანაავტორები იძულებული გახდნენ გადაესინჯათ თავიანთი პროექტი. წარადგინეს რა 11 ნოემბერს პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად გადასინჯული რეზოლუციის პროექტი, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები ამტკიცებდნენ, რომ მისი შედგენისას მათ თითქოს ანგარიში გაუწიეს სხვა დელეგაციების კრიტიკასა და შესწორებებს. მაგრამ პროექტის ამ „ახალმა ვარიანტმაც“ ვერ დააკმაყოფილა ბევრი დელეგაცია, რომლებმაც კვლავ გააკრიტიკეს იგი. მთელმა რიგმა დელეგაციებმა კვლავ შეიტანეს რეზოლუციის შეცვლილი პროექტის შენიშვნები. კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები თვითონ გახდნენ იძულებულნი წარედგინათ შესწორებანი თავიანთი რეზოლუციის უკვე შეცვლილი პროექტისათვის.

შესწორება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა წარადგინეს 14 ქვეყნის რეზოლუციის შეცვლილი პროექტის პრეამბულისათვის, მოითხოვს პრეამბულის პირველი პუნქტი შეიცვალოს შემდეგი ტექსტით: „ადასტურებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანას — განიხილოს საკითხი განიარაღების შესახებ და შეიარაღების რეგულირების შესახებ და აცხადებს რა, რომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას: a) მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირება. შეზღუდვა და თანაზომიერი შემცირება; b) ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის ხმარებიდან ამოღება და აკრძალვა; c) ატომის ენერგიისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესება ატომური იარაღის აკრძალვის უზრუნველსაყოფად და ატომის ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების უზრუნველსაყოფად; ამასთან მთელი პროგრამა უნდა განხორციელდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით და ისეთი გზით, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ ეშინოდეს, რომ არსებობს საფრთხე მისი უშიშროებისათვის“. ამ დელეგაციების შესწორება 14 ქვეყნის რეზოლუციის შეცვლილი პროექტის სარეზოლუციო ნაწილისათვის მოითხოვს სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი შეიცვალოს შემდეგი ტექსტით: „წინადადებას აძლევს კომისიას განაგრძოს თავისი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეთანხმების მიღწევა მის მიერ განსახილველ საკითხებზე და მხედველობაში მიიღოს გენერალური ასამბლეის მერვე სესიაზე გაკეთებული წინადადებანი და არაუგვიანეს 1954 წლის 1 სექტემბრისა წარმოუდგინოს ახალი მოხსენება გენერალურ ასამბლეას და უშიშროების საბჭოს“.

შეიტანეს რა ეს შესწორებანი, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები ამტკიცებდნენ, თითქოს მათ გაითვალისწინეს სხვა დელეგაციების მეტი წილი შესწორებანი 14 ქვეყნის რეზოლუციის შეცვლილი პროექტისათვის. მათ კომიტეტს მიმართეს მოწოდებით, რომ სხვა დელეგაციებმა „შერიგებისა და კომპრომისის“ სულისკვეთებით მოხსნან რეზოლუციის ამ პროექტის თავიანთი შესწორებანი.

გუშინდელ სხდომაზე ინდოეთის დელეგაციამ კომიტეტის განსახილველად შეიტანა მთელი რიგი შესწორებანი სსრ კავშირის დელეგაციის შესწორებებისათვის, აგრეთვე რეზოლუციის პროექტი, რომლითაც ინდოეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა საბჭოთა კავშირის შესწორებათა ნაწილი გადაეცეს განიარაღების კომისიას.

დაზავების სამხედრო კომისიის კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე

პეკინი, 17 ნოემბერი. (საკ.). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

დღეს დაზავების სამხედრო კომისიის კორეა-ჩინეთის დელეგაციამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ დიდი ხნით გადადებული ახსნაგანმარტებითი მუშაობა, რომელიც გუშინ განახლდა კორეა-ჩინეთის მხარის არაერთგზისი ღონისძიების შედეგად, დღეს კვლავ ჩიხში მოაქციეს.

იმისათვის, რომ ახსნაგანმარტებითი მუშაობა წარმოებულიყო ნორმალურად, კომპეტენციის შესახებ დებულებათა და პროცედურის წესების შესაბამისად 16 ნოემბერს მისი განახლების შემდეგ, კორეა-ჩინეთის მხარემ 14 ნოემბერს ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიას მიუთითა, რომ კომისიამ და ინდოელმა მცველმა ჯარებმა გულმოდგინედ უნდა გამოჰყონ ჩანაფიქრი და ლისინმანელი აგენტები, რომლებიც ამერიკელთა ხელმძღვანელობით ბატონობენ სამხედრო ტყვეებზე. კომისიამ და ინდოელმა მცველმა ჯარებმა სასტიკად უნდა აუკრძალონ ამ აგენტებს და იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც ტერორის შედეგად აგენტების კონტროლში იმყოფებიან, სკანდალის მოწყობა კარვებში, სადაც ეწყობა ახსნაგანმარტებითი საუბრები, და აუკრძალონ ამერიკის მხარის პერსონალს თავისი გავლენა მოახდინოს ამ სამხედრო ტყვეებზე ახსნაგანმარტებითს კარვებში ანდა ჩაერიოს ახსნაგანმარტებითს საუბრებში.

მაგრამ გუშინ ახსნაგანმარტებითი საუბრების დროს ჩანკაიშელ და ლისინმანელ აგენტთა კონტროლი სამხედრო ტყვეებისადმი მოსპობილი არ ყოფილა. აგენტები და მათს კონტროლში მყოფი სამხედრო ტყვეები კიდევ განაგრძობდნენ სკანდალს და მიმართეს ძალადობის ქმედებს ახსნაგანმარტებითს კარვებში. ამერიკის მხარის პერსონალი, როგორც ჩვეულებრივ, ყველა საშუალებით ცდილობდა გავლენა მოეხდინა სამხედრო ტყვეებზე. შემდეგ, ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის ქვეკომიტეტებმა არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ამიტომაც, გუშინ კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენლებმა, რომლებიც ახსნაგანმარტებითს საუბრებს ეწევიან, შეძლეს საუბრები მოეწყოთ მხოლოდ იმ სამხედრო ტყვეთა მცირე ნაწილში, რომელთა შორისაც ისინი საუბრების მოწყობას აპირებდნენ. ახსნაგანმარტებითი მუშაობის შემდეგ კორეა-ჩინეთის მხარემ კვლავ მოსთხოვა ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიას გამოჰყოს იმ სამხედრო ტყვეთა უმრავლესობა, რომლებსაც არ მოუსმენიათ ახსნაგანმარტებითი საუბრები, მაგრამ რომელთა შორისაც განზრახული იყო ახსნაგანმარტებითი საუბრების მოწყობა თავდაპირველი გეგმით, რათა კორეა-ჩინეთის მხარეს შეეძლოს განაგრძოს ახსნაგანმარტებითი საუბრები მათ შორის.

მაგრამ ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ და ინდოელმა მცველმა ჯარებმა კვლავ უარი თქვეს 16 ნოემბერს № 53 სექტორში გამოეყოთ სამხედრო ტყვეები, რომლებსაც ახსნაგანმარტებითი საუბრები არ მოუსმენიათ, იმათგან, რომლებმაც საუბრები მოისმინეს, მაგრამ ჯერ თავიანთი გაწყვეტილი კავშირი რეპატრიაციის შესახებ, როგორც გათვალისწინებულია „პროცედურის წესების“ დებულებებით. ამასთან კომისიამ და მცველმა ჯარებმა უარი თქვეს შეესრულებინათ ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის თავმჯდომარის დავალება. როცა კორეა-ჩინეთის მხარემ ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიას აცნობა, რომ იგი 17 ნოემბერს თავის ახსნაგანმარტებითს საუბრებს განაგრძობს № 53 სექტორის სამხედრო ტყვეთა შორის, რომელნიც ამ საუბრებს არ დასწრებიან, რათა ეს მუშაობა დაამთავროს ამ სექტორის ყველა სამხედრო ტყვეთა შორის, ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ და ინდოელმა მცველმა ჯარებმა ამერიკის მხარის აგენტების ოსტრუქციის გამო განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ აწარმოონ მუშაობა „კომპეტენციის შესახებ დებულებათა“ და „პროცედურის წესების“ თანახმად.

ამერიკის მხარისა და მისი ჩანკაიშელი და ლისინმანელი აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად კორეა-ჩინეთის მხარის ახსნაგანმარტებითი მუშაობა კვლავ გადაიდო. კორეა-ჩინეთის მხარე მტკიცედ აღგას აზრს, რომ ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ და ინდოელმა მცველმა ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ღონისძიებანი, რათა გამოასწორონ ეს მდგომარეობა ისე, რომ შეიძლებოდეს ახსნაგანმარტებითი მუშაობის მოწყობა და განხორციელებულ იქნას „კომპეტენციის შესახებ დებულებანი“ და „პროცედურის წესები“.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გამო

ბერლინი, 18 ნოემბერი. (საკ.). გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს გერმანელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის მეგობრობისა და თანაშრომლობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში უკვე ორი კვირაა ხორციელდება ერთთვიურისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება. ყველგან ეწყობა საბჭოთა მეცნიერების, ნოვატორებისა და კულტურის წარმომადგენლების შეხვედრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობასთან.

გერმანიის თეატრების სცენებზე, კლუბებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დიდი წარმატებით გამოდიან საბჭოთა ხელოვნების მოღვაწენი, იდგმება საბჭოთა დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებნი, ამართება ლექციები და მოხსენებები საბჭოთა კავშირის ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს სვეშნიკოვის მომღერალთა გუნდი.

მაგალითად, ქალაქ ერფურტში მომღერალთა გუნდის შესრულებით რუსული სიმღერების მოსასმენად თავი მოიყარა ქალაქის 8 ათასამდე მცხოვრებმა. ყოველი გამოსვლის შემდეგ მცხოვრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდნენ და ყვავილს უძღვნიდნენ გუნდის მსახიობებს.

დიდი ინტერესით და გულთბილად ხვდება გერმანიის საზოგადოებრიობა სტალინური პრემიის ლაურეატის რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის ს. ნ. შაპოშნიკოვის გამოსვლებს. ს. ნ. შაპოშნიკოვს განსაკუთრებული წარმატება აქვს შუბერტის ნაწარმოებთა შესრულებაში.

პოტსდამში დაიდგა ვ. ივანოვის პიესა „ჯავშანო 14-69“. პიესას, რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას სამოქალაქო ომის წლებში, მაყურებლები დიდი ინტერესით და გულთბილად შეხვდნენ.

მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს საბჭოთა მეცნიერებისა და ნოვატორების შეხვედრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებთან.

ამ დღეებში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ბერლინის ცენტრალურ სახლში გლეხთა და სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოსწავლეთა წინაშე გამოვიდა სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი სვირშევსკი. დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა მეცნიერის ნაამბობი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევებისა და მისი მექანიზაციის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლქებსა და რაიონებში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ადგილობრივი კომიტეტები აწყობენ გამოფენებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირის ცხოვრებასა და მის მიღწევებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ასეთი გამოფენა გაიხსნა, კერძოდ, ბერლინში ალექსანდერპლაცზე. გამოფენას დიდი წარმატება აქვს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში ახალი წევრების შესვლის შესახებ. მარტო კარლ-მარქს-შტადტის ოლქში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის პირველ დღეებში საზოგადოების წევრად შევიდა 4 ათასზე მეტი კაცი.

პოლონეთში განაჩენი გამოუზანეს ზერორისზებისა და დივერსანზების ბანდას

ვარშავა, 18 ნოემბერი. (საკ.). პოზნანში რაიონულმა სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე კულაკების ჯგუფის — დივერსიულ-ტერორისტული ბანდის წევრებისა, რომლებიც მოქმედებდნენ პოზნანის სავოევოდოს ვონგროვეცკისა და შუბინსკის მაზრების ტერიტორიაზე. პროცესზე დადგენილ იქნა, რომ ბრალდებულები დივერსიებისა და საბოტაჟის გზით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მუშებისა და გლეხების კავშირისათვის და შეესუსტებინათ სამეწარმოქმედო საწარმოო კოოპერაციის განვითარება, ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს და სხვ.

სასამართლომ ბანდის მეთაურს ბრალდებულ ტვარდოვსკის მიუსაჯა სიკვდილი, ბრალდებულ ემუძინსკის — 10 წლის პატიმრობა. დანარჩენ ბრალდებულებს მიესაჯათ პატიმრობა 3-დან 8 წლამდე.

ჩინეთში აღმოაჩინეს ზერორისზული ორგანიზაცია

პეკინი, 18 ნოემბერი. (საკ.). გაზეთ „სინხუანნბაოს“ ცნობით, ხუნანის პროვინციაში საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა მოსახლეობის აქტიური დახმარებით აღმოაჩინეს და მოსპეს რეაქციული ორგანიზაცია „ნანგუნდაო“, რომელსაც მეთაურობდნენ გომინდანელთა არმიის ყოფილი ოფიცრები ლი სიან-ლანი, ხუან ჯენ-ხუა და სხვები. ორგანიზაცია ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, სახალხო ხელისუფლების ორგანოების ღონისძიებათა საბოტაჟს, ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს, ამზადებდა ტერორისტულ აქტებს მთავრობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და მოსახლეობის აქტივისტების წინააღმდეგ.

სახალხო სასამართლომ „ნანგუნდაოს“ მეთაურებს მიუსაჯა დახვრეტა, ხოლო ამ რეაქციული ტერორისტული ორგანიზაციის მონაწილეებს პატიმრობა სხვადასხვა ვადით. პროვინციის მოსახლეობა სასამართლოს გადაწყვეტილებას მოწონებით შეხვდა.

საბჭოთა ფეხბურთელები ნორვეგიაში

ოსლო, 18 ნოემბერი. (საკ.). დღეს ოსლოში „ბიშლეტის“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა და ნორვეგიელი ფეხბურთელების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ლენინგრადის გუნდი „ზენიტი“ შეხვდა დედაქალაქის საუკეთესო სასპორტო კლუბების „შეიდისა“ და „სპარტაკუსის“ ნაკრებ გუნდს. შეჯიბრებამ, რომელიც შედგა საღამოს, ხელოვნური განათებისას, ნაწვავე სპორტული ბრძოლით ჩაიარა და დამთავრდა ანგარიშით 6:0 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

„ზენიტის“ შემდეგი შეჯიბრება ნორვეგიაში მოხდება 22 ნოემბერს ქალაქ სტავანგერში, სადაც იგი შეხვდება ამ სეზონში ნორვეგიის თასის გათამაშებაში გამარჯვებულ გუნდს „ვიკინგს“.

საბჭოთა ფეხბურთელების შეხვედრა რუმინელ ფეხბურთელებთან

ბუქარესტი, 18 ნოემბერი. (საკ.). დღეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ქალაქ კლუჟში შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს „შტიინცას“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ, ანგარიშით 1:1.

თბილისი

სურათზე: თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ახლად მოწყობილ ვეტერინარულ კაბინეტში ვეტერინარული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები ლექტორ ი. გოგლოვის (მარჯვნიდან მეორე) ხელმძღვანელობით სწავლობენ ცხენის ანატომიას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

საოპერო სტუდიაში

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ორი წელია არსებობს საოპერო სტუდია. მისი მიზანია ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტებს მისცეს სცენიური ჩვევები, შეასწავლოს დირიჟორთან და რეჟისორთან მუშაობა, მომაზადოს მომავალი მსახიობი ოპერის თეატრისათვის. სტუდიის მიერ გამოზრდილი მომღერლები ზ. ანჯაფარიძე, თ. ტაკიძე, გ. ტორონჯაძე, პ. თომაძე, თ. თაქთაქიშვილი, შ. კეკნაძე და სხვები ამჟამად წარმატებით გამოდიან თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

საოპერო სტუდიას მდიდარი რეპერტუარი აქვს: ზ. ფალიაშვილის ოპერა — „აბესალომი და ეთერი“, რახმანინოვის „ალეკო“, რიმსკი-კორსაკოვის „ვერა შელოგა“, პ. ჩაიკოვსკის დუეტი „რომეო და ჯულიეტა“, მისივე „ევგენი ონეგინი“ და სხვ. ამჟამად სტუდია მუშაობს როსინის ოპერის „სეველიელი დალაქის“ დასადგმელად. მონაწილეობენ კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის IV-V კურსის სტუდენტები.

საკავშირო ბაზრების კეთილმოწყობა

პროდუქტების გასაყიდად თბილისში ჩამოსულ კოლმეურნეთა მოქმსახურების გაუმჯობესების მიზნით ყველა საკოლმეურნეო ბაზარში დაიწყო კაპიტალური რემონტი. დახლებთან კეთდება ხის მაღალი სკამები, პროდუქტების შესანახები. მიმდინარეობს გადასახურავთა შეკეთება.

კიროვის რაიონის ბაზარზე ცემენტის იატაკის ნაცვლად კეთდება ხის იატაკი. რემონტზე 250.000 მანეთი დაიხარჯება.

მუშაკთა კლუბის თვითმოქმედი კოლექტივი

მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გორკის სახელობის კლუბის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები მშრომელთა შორის პოპულარობით სარგებლობენ. სიმღიან-ინსტრუმენტალური, ქორეოგრაფიული, თეატრალურ-საესტრადო, ქართული და რუსული დრამატული და სხვა წრეები ხშირად გამოდიან საწარმოთა საამქროებსა და საერთო საცხოვრებლებში და კლუბის სცენაზე. მარტო მიმდინარე წელს მათ გამართეს 160-ზე მეტი კონცერტი და სპექტაკლი.

განსაკუთრებით დიდი წარმატება აქვს ქართული დრამატული წრის სპექტაკლებს. ეს წრე დგამს კლასიკურ და საბჭოთა ავტორების პიესებს. ახლა იგი ამზადებს მორიგ პრემიერას — ბ. ლავრენტევის პიესა „რღვევას“. პიესას ერთ-ერთი მთავარი გმირის ტატიანას როლს ასრულებს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი ც. აბაშიძე. რუსული დრამატული წრე მუშაობს ს. მიხალკოვის „კიბოების“ დადგმაზე.

მრავალფეროვანია სიმღიან-ინსტრუმენტალური წრის რეპერტუარი. საქალაქო და რესპუბლიკური მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადების მუდმივი მონაწილეა ქორეოგრაფიული წრე.

კლუბის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი ეხმარებიან საწარმოებს წრეების შექმნასა და მუშაობაში.

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — სამშობლო, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება, **გრიბოედოვის სახელობის** — გვარს ნუ დავასახელებთ, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უბის წიგნაკი (პრემიერა), **მუსიკალური კომედიის** — მთი ოცნება, **სანატარული კულტურის** — საამო საზრუნავი, **თოჯინების ქართული** — ჩექმებიანი კატა (10 საათზე).

* * *

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, გორკის სახელობის კლუბი — არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში, **ამირანი, ისანი, 26 კომისრის, დიდუბე, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — საუშაგო მთებში, **კომკავშრომელი** — ვერცხლისფერი მტევრი, **კოლხიდა** — ჩემი პატარა მეგობარი, **კოლმეურნე, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — არშინ-მალ-ალან.

ქეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

20 ნოემბერს საღამოს 8 საათზე შედგება სემინარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის (სწავლების მეორე წელი) თემაზე: „კომუნისტური პარტია — უცხოელთა სამხედრო. ინტერვენციისა და თეთრგვარდიელთა ბანდურების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი სამოქალაქო ომის წლებში“. სემინარის ხელმძღვანელია ამხ. ვ. მირიანაშვილი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ყურადღება!

400-დან 100 000 მანეთამდე შეიძლება მოიგოთ სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის ოგლიგაციებით

1953 წლის 30 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში შედგება **სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის** მოგებათა მორიგი **36-ე ტირაჟი.**

ამ ტირაჟში სულ გათამაშდება **42.500** მოგება **23.251.000** მანეთის თანხისა, **მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400** მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლეულად ტარდება სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები. შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

20 ნოემბერს	**კონცერტი** პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან.
21 ნოემბერს	**პ. ჩაიკოვსკი — ევგენი ონეგინი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

საჭირო: ზეინკლები, ამწყობი ზეინკლები, მტვიფრავები, ტვიფრების დამყენებლები, მეთუნუქეები, მესპილენძეები, მღებავები, ამწყობი ელექტროკოსები, ცეცხლფარეშები, ნახშრის მზიდავები, მცველები, დამხმარე მუშები.

ამავე სპეციალობებზე წარმოებს მოწაფეთა მიღება ინდივიდუალური სწავლებისათვის. სწავლების პერიოდში მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელფასით. სწავლების ვადაა 1-დან 3 თვემდე და 3-დან 6 თვემდე. სასწავლად მიიღებიან ორივე სქესის პირები.

სამუშაოზე მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. ყველა ცნობისათვის მიმართეთ 9 ს. 30 წუთიდან 18 ს. 30 წუთამდე შემდეგი მისამართით: შაუმიანის ქ. № 3 (26 კომისრის რაიონი), შესასვლელი ეზოდან. ტელეფონი № 3-90-21.

„გასტრონომის“ საქართველოს კანტორის თანამშრომლები იუწყებიან **ზაქარია ძულიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუ